საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 21 აგვისტო, 2014 წელი.

№168 (7549)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჯიბეებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ნაციონალები „იჩითებიან“

ანგელოზად თავმოკატუნებული დავით ბაქრაძის ბრიტანული თალლითობანი

სხვა ხარჯებიც გადასახედია: ცოლის, ცოლისდების, სიდედრების...

ნაციონალ **დავით ბაქრაძეს პაწაწინა ანგელოზის ფრთები ის-ის იყო ლამის ამოეწვერა, ისე მოკრძალებული და გაწონასწორებული პოლიტიკოსის იმიჯს ირგებდა თანაპარტიელების იწილო-ბიწილოს ფონზე, რომ „ჭირმა თავი არ დამალა“. ვინ ვინ და ხალხმა ძალიან კარგად იცის, რომ სააკაშვილის გვერდით ერთგული ადამიანი და ამავე დროს „გაუსვრელი“ წუთითაც ვერ გაჩერდებოდა. პოლიტიკოს-ავანტიურისტი სააკაშვილი, რომელმაც თავიდან ხალხის ნდობა და სიყვარული შევარდნაძის კორუმპირებული ხელისუფლების წინააღმდეგ „ბრძოლის“ ფონზე მოიპოვა, კარგად ვნახეთ, თავადვე როგორ ჩაეფლო კორუფციის ჭაობში.**

ამ ჭაობში „მობანავე“ აღმოჩნდა დავით ბაქრაძე, რომელმაც ბრიტანულ ბანკში განთავსებული დიდი ოდენობის ფული — 261 ათას 757 გირვანქა სტერლინგი, ანუ 755 ათას ლარზე მეტის ანგარიში დახურა. როგორც საჯარო მოხელეს, მას ამ ანგარიშის შესახებ თავის დეკლარაციაში არასოდეს მიუთითებია, რამაც მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ბაქრაძის ანგარიშებთან დაკავშირებით პროკურატურა დეტალებს არკვევს.

იხ. 2 გვ.

ზურაბ შენგელია:

გალში 20 ათასზე მეტ ქართველს ხმის უფლება ჩამოერთვა

4

3 უშიშროების საბჭო და კონსტიტუციის „შავი ყუთი“

3

სწორედ ევროკავშირთან ხელშეკრულება გვავალდებულებს საყდრისის მსგავსი კულტურული მემკვიდრეობის დაცვას!

ძლიერი გვალვებიც „ოცნების“ ბრალი ყოფილა!

5

სასწორის რომელი პინა გადასწონის?

რას ერჩით, სიმამრს შვილიშვილებისთვის უჩუქებია!

გუშინ **დავით ბაქრაძემ თავის ანგარიშებთან დაკავშირებით თავი ასე „გაიმართლა“:**

„2002 წლის 12 ნოემბერს საქართველოში შვეიცარიის საელჩომ შეიძინა კრწანისის ქუჩაზე მდებარე კერძო სახლი საელჩოს ახალი შენობისთვის. სახლის მესაკუთრე გახლდათ ჩემი სიმამრი ლერი მეტრეველი. შეძენა გაფორმდა ყველა კანონიერი პროცედურის დაცვით.

სახლის გაყიდვის შემდეგ ლერი მეტრეველმა გამოთქვა სურვილი, სახლის გაყიდვით მიღებული შემოსავალი სამომავლოდ დაეტოვებინა და გაენაწილებინა შვილიშვილებისთვის, რათა მათ შეძლებოდათ ამ თანხით სარგებლობა სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. შესაბამისად, აღნიშნული თანხა თავდაპირველად ინახებოდა მასთან, როგორც კანონიერ მესაკუთრესთან. 2009 წელს ლერი მეტრეველმა სთხოვა ჩემს მეუღლეს (მის შვილს), მაკა მეტრეველს, გაეხსნა რომელიმე საიმედო ბანკში გრძელვადიანი საპროცენტო ანგარიში, სადაც თანხა უსაფრთხოდ განთავსდებოდა ბავშვების სრულწლოვანების მიღწევამდე.

ასეთ ბანკად შერჩეულ იქნა HSBC, რომელსაც იმ პერიოდში თბილისში ჰქონდა ოფისი და შესაბამისად, შესაძლებელი იყო ანგარიშის ადგილზე გახსნა“.

კი მაგრამ, დაბადებიდან განთქმულო მოაზროვნე დავით, მთელი 7 წლის განმავლობაში რატომ ინახავდა შენი სიმამრი ასეთ სოლიდურ თანხას სახლში, ნუთუ სხვა სანდო ბანკი საქართველოში არ არსებობდა?!

თან რატომ „გავიწყდება“, რომ ნებისმიერი თანხა: დანაზოგი, შემოსავალი თუ სიმამრის ვითომ ნაჩუქარი, აუცილებლად უნდა ასახულიყო შენს დეკლარაციაში!..

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ანგელოზად თავმოკატუნებული

დავით ბაქრაძის ბრიტანული თაღლითობანი

სხვა ხარჯებიც გადასახედია: ცოლის, ცოლისდების, სიდედრების...

(პირველი გვერდიდან)

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ბაქრაძისთვის გაგზავნილ HSBC-ს დოკუმენტზე აღნიშნულია 3-წლიანი ფიქსირებული ანგარიშის ნომერი – 40228434012380. სკანდალური დოკუმენტის საფუძველზე ირკვევა, რომ საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა და მისმა მეუღლემ ბრიტანულ ბანკში ანგარიში დახურეს.

არავინ იცის, რითი არის გამოწვეული ანგარიშების დახურვა. ამასთან დაკავშირებით კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე **სულხან მოლაშვილი** აცხადებს, რომ **„ეს არის ძალიან მცირედი ნაწილი იმ თანხებისა, რასაც მიხეილ სააკაშვილი თავისი პარტიის წევრებს პირადი სიამოვნების მიზნით ახარჯვინებდა. სხვა ხარჯებიც გადასახედია, კერძოდ ცოლების, ცოლის დების, სიდედრების და ა.შ . სხვა ხელისუფლების დროს მინისტრებს საკუთარი ცოლების ოპერაციებსა და გართობისთვის ბიუჯეტის ამხელა თანხები რომ დაეხარჯათ, არ მახსენდება.**

ეს თანხა ძალიან მცირე ნაწილია იმ თანხისა, რაც კეზერაშვილის, ე. წ.სალაროშია აკუმულირებული. აღნიშნული სალაროდან ძალიან ბევრი ფული მიზანმიმართულად იხარჯება გიგი უგულავას მხარდასაჭერი აქციების გასამართავად და სხვადასხვა მსგავსი ტიპის დანიშნულებისთვის“. „კორუფციის“ გამო ნაცებისგან გასამართლებული და ნაწამები სულხან მოლაშვილი ვარაუდობს, რომ სააკაშვილის გუნდის გაუვნებელყოფა გაჭირდება: **„ძალიან დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომ ნაციონალური მოძრაობის აღმოცენების საფრთხე აღმოიფხვრას“,** – დასძენს ის.

* * *

დავით ბაქრაძეს ბრიტანული სტერლინგების გარეშეც არ გაუჭირდება ცხოვრება, რადგან დეკლარაციის მიხედვით საკმაოდ სოლიდურ ფინანსებს ფლობს. „თიბისი ბანკში“ სახელფასო ანგარიშზე 52 ათასი ლარი ერიცხება, ამავე ბანკში აქვს გახსნილი ანგარიში დოლარებში, სადაც 51.760 აშშ დოლარი აქვს. „საქართველოს ბანკში“ დებიტი – 784 ლარია. მისი მეუღლეს – მაკა მეტრეველის მიმდინარე ანგარიში „თიბისი“-ში 32 ათასი დოლარია, „პროკრედიტში“ 30 ათასი ლარი.

გასულ წელს ბაქრაძემ, როგორც პარლამენტის წევრმა ხელფასის სახით 84.465 ლარი მიიღო, მეუღლემ კი „ჩაჩავას კლინიკაში“ მარკეტინგის დირექტორის თანაშემწის თანამდებობაზე აიღო 7.450 ლარი, ხოლო როგორც „სინათლის ქალაქის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა 12.500 ლარი.

რაც შეეხება გრაფას – თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული ნაღდი ფულადი თანხა, რომლის ოდენობა აღემატება 4 000 ლარს – ბაქრაძეს მითითებული აქვს 15.000 ლარი და 10.000 დოლარი.

ბრიტანეთში გახსნილ ანგარიშთან დაკავშირებით დეკლარაციაში არაფერია ნათქვამი, რაც კანონის უხეში დარღვევაა.

* * *

ყველაზე გონიერი, გაწონასწორებული, გამჭრიახი – დაახლოებით ასე აფასებდა დავით ბაქრაძეს საზოგადოების ის ნაწილი, ვისაც ეგონა, რომ ნაციონალური მოძრაობა ბოლომდე არ იყო გარყვნილი და ადამიანური სული, სუფთა პოლიტიკოსის გონება ვინმეს მაინც აღმოაჩნდებოდა.

თუმცა, კინორეჟისორი **გოგა ხაინდრავა** ამბობს, რომ ბაქრაძე პოლიტიკოსი არც არასოდეს ყოფილა: **„დავით ბაქრაძეს პოლიტიკასთან კავშირი არასოდეს არ ჰქონია! ეს არის კრიმინალური დაჯგუფების წევრი. ერთ-ერთი მფარველი იმ კრიმინალისა, იმ ელიტური კორუფციის შემოქმედი, რაც საქართველოში ხორციელდებოდა! ეს არის საქართველოდან გატანილი ნაძარცვ-ნაყაჩაღარი ფული.**

სააკაშვილის ყველა მეხოტბე ზუსტად ასევე არის ჩართული ამ კორუფციულ სქემაში“, – ასკვნის ხაინდრავა.

მართლაცდა, რომ არა ქართველი ხალხისთვის მილიონების მოპარვა, საიდან მოიყრიდა თავს ბრიტანეთში ასეთი კოლოსალური თანხა?! აი, თურმე, როგორ კეთდებოდა ფული პოლიტიკით და... ფულით პოლიტიკა!

ნაცებისდა სამწუხაროდ ბაქრაძეც შიშველია!

თეა მოსია

◎ გვეხმაურებიან

საქართველოს უკანონო სახელები წარსულს უნდა ჩაბარდეს!!!

ისტორიკოსი, პროფესორი მარიამ ლორთქიფანიძე გამოეხმაურა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 15 აგვისტოს გამოქვეყნებულ ანზორ ბაბუხადიას ღია წერილს „საქართველო ყველგან საქართველოდ უნდა იწოდებოდეს!“ როგორც ქალბატონი მარიამი ამბობს, ის სრულიად იზიარებს წერილის პათოსს: **„საქართველო უნდა იხსენიებოდეს ყველა ენაზე, როგორც „საქართველო“. თუკი მოგყავს ციტატა ამა თუ იმ წყაროდან, მაგალითისთვის, ვთქვათ, არაბული დოკუმენტებიდან, მაშინ ქვეყანა იწოდება ისე, როგორც წყაროშია მითითებული. მაგრამ, როცა თანამედროვე დროში ხდება მოქმედება, უნდა იწოდებოდეს, როგორც საქართველო“.**

შეგახსენებთ, რომ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ამის შესახებ არა ერთხელ დაიწერა, ხოლო ბოლო წერილში ჩოხოსან რაინდთა დასის დარბაზის წარმომადგენელი ანზორ ბაბუხადია უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრსა და იუსტიციის მინისტრს მიმართავს. **„საქართველოს მსოფლიოს ხალხების ყველა ენაზე უნდა ეწოდოს თავისი კუთვნილი და ღირსეული საკუთარი სახელი „საქართველო“ და ისტორიას ჩაბარდეს მისი ისეთი უკანონო სახელები როგორებიცაა: „გრუზია, „გურჯისტანი“, „ჯორჯია“, „ვრასტანი“ და ა. შ.“,** – წერს ბატონი ანზორი.

შემირცხვენია ისეთი ქვეყანა, რომელიც ფიქრობს, რომ 12 000 მეძავით ქვეყანას წამოსწევს

ამის შესახებ დეკანოზმა დავით ქვლივიძემ განაცხადა.

დეკანოზის განცხადებით, ჩვენ მომსწრე გავხდით ეკლესიის არნახული დაცინვის და ერთ-ერთი შარლატანი, რომელიც ხელმძღვანელობს „კაზანტიპს“, დასცინის დედაეკლესიას და სასულიერო პირებს.

– ადამიანი ამბობს, რომ არის ჯადოქარი, ანუ სატანის მსახური. ღვთის საწინააღმდეგო ქმედებებს აკეთებს მარიამობის მარხვაში. ჩვენ სახელმწიფოსთან გვაქვს საქმე, აუკრძალოს ამ პირს ქვეყანაში ყოფნა. ამერიკა და ევროპის ქვეყნები ხომ უკრძალავენ ვიღაც-ვიღაცებს თავის ქვეყნებში შესვლას. ეს არის კაცი, რომელიც ჩვენს ტრადიციებს შეურაცხყოფს და დაგვცინის, დაცინვით საუბრობს ეპისკოპოსებზე. ასეთი თავხედობა მონღოლებისა და შაჰ-აბასის მეომრებს არ გამოუჩენიათ. ეს ქვეყნის სირცხვილია. ქვეყანა, რომელიც ფიქრობს, რომ 12 000 მეძავით ქვეყანას წამოწევს, შემირცხვენია ასეთი ქვეყანა, 12 000 მეძავი წყვეტს ამ ქვეყნის ეკონომიკას? ეს არის შემდგარი ქვეყანა? ვფიქრობ, ხელისუფლებამ ამ პირს ქვეყანაში ყოფნა უნდა აუკრძალოს და ამაზე უშიშროება უნდა ფიქრობდეს, – დასძინა დეკანოზმა დავით ქვლივიძემ.

„კაზანტიპის“ გასაპროტესტებლად მორწმუნეები ანაკლიაში კიდევ ჩავალთ

ამის შესახებ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ თანათავმჯდომარემ ავთანდილ უნგიაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, ეს ფესტივალი საქართველოში სოდომ-გომორიზაციას ემსახურება, კერძოდ, საქართველო, როგორც მართლმადიდებელი ქვეყანა, „აღიგაოს პირისაგან მიწისა“. მისივე განცხადებით, იმედია, არსებული ხელისუფლება ძველი ხელისუფლების შეცდომებს არ გაიმეორებს.

უნგიაძის შეფასებით, „კაზანტიპის„ ფესტივალი დასავლეთის დაკვეთაა. მისივე თქმით, სწორედ დასავლეთის დაკვეთით მოხდა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება და ხდება უცხოეთის ქვეყნის მცოცავი რელიგიური ანექსია საქართველოში.

აქცია ამ მომენტამდე მდუმარე სახით მიმდინარეობს. აქციაში დაახლოებით რამდენიმე ათეული სასულიერო პირი მონაწილეობს.

აქციაზე უკვე დარიგდა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისადმი მიმართვა, რომელსაც აქციის მონაწილეები მოაწერენ ხელს.

მიმართვის ტექსტში გულისტკივილია გამოთქმული, რომ ხელისუფლებამ დაუშვა საქართველოში ე.წ. „კაზანტიპის“ ფესტივალის ჩატარება.

„როგორც „კაზანტიპის“ მესვეურები აცხადებენ, მათ ტერიტორია განმუხურში იჯარით 10 წლის ვადით აიღეს, რაც იმას მოწმობს, რომ მათ განზრახული აქვთ ეს ფესტივალი ყოველწლიური გახადონ. „კაზანტიპი“ რომ გარყვნილებაა, ეს ყველა დაინტერესებულმა პირმა იცის. ამისთვის საკმარისია მათსავე საიტზე შესვლა და მათი კონსტიტუციის, იმ ფოტომასალისა და ვიდეომასალის ხილვა, რასაც თვითონვე აქვეყნებენ და რეკლამირების მიზნით ინტერნეტში ავრცელებენ. კერძოდ, „კაზანტიპი“ არის ნარკომანია, მამათმავლობა, დედათმავლობა, მოზარდი თაობის გახრწნისა და სხვა ენით აუწერელი გარყვნილების სივრცე და ეს ხდება ელექტრონული მუსიკის, თუ სხვა ღონისძიებების ფონზე“, – აღნიშნულია მიმართვაში.

აქციის მონაწილეები მიმართავენ პრემიერ-მინისტრს, თუ დასავლეთის დაკვეთა საქართველოს როგორც მართლმადიდებლური და ეროვნულ-ტრადიციული სახელმწიფოს ძირეულ ინტერესებს ეწინააღმდეგება, რისი ნიშნებიც აშკარად იგრძნობა, პრემიერ-მინისტრს უსათუოდ მოუწევს მკაფიო არჩევანის გაკეთება. მიმართვის ტექსტის ავტორები იმედოვნებენ, რომ პრემიერ-მინისტრი საქართველოს ერთგულებას აირჩევს.

◎ ალიანჩალიანი

დააბრუნებს ობამა ნობელის პრემიას?

„აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ნობელის მსოფლიო პრემიის დაუყოვნებლივ დაბრუნების საკითხს უნდა გადახედოს“ – განცხადება ნობელის მსოფლიო კომიტეტის თავმჯდომარე ტორბიორნ იაგლანდმა გააკეთა.

მისი თქმით, თუ ობამას პრემიის საჯარო დაბრუნება უხერხულობას შეუქმნის, მან ეს ფოსტითაც შეიძლება გააკეთოს.

„ამ დრომდე ჯილდოს დაბრუნება არასდროს მოგვითხოვია, ისეთი დაწყევლილი სამხედრო დამნაშავესგანაც კი როგორიც კისინჯერი იყო, მაგრამ ამჟამად ჯერ კიდევ გახსნილია გუანტანამო, ავღანეთი არსებობს, ლიბიაში დაბომბვები მიმდინარეობს, იქ ბინ ლადენი მოკლეს და სასამართლოს არ გადასცეს.

დაბოლილები ვიყავით, როდესაც გაეროში ობამას სიტყვის ჩანაწერს ვისმენდით და წარმოვიდგენდით, როგორ მიიყვანდა შავკანიანი ადამიანი ამერიკას და მსოფლიოს მშვიდობის ახალ ეპოქაში. რამდენიმე საათის განმავლობაში 18 წლის სტუნდენტებივით ვიყავით“, – განაცხადა იაგლანდმა.

თეთრ სახლს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ჯერჯერობით არ გაუკეთებია.

შეგახსნებეთ, რომ ობამამ ნობელის პრემია მშვიდობის დარგში 2009 წელს მას შემდეგ მიიღო, რაც გაპრეზიდენტების პირველ თვეებში რიგი განცხადებები გააკეთა.

საქართველო 2015 წელს ევროპის ენერგეტიკული ქარტიის თავმჯდომარე ქვეყანა გახდება

ამის შესახებ ცნობილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძესა და ევროპის ენერგეტიკული ქარტიის გენერალურ მდივან ურბან რუსნაკს შორის გამართული შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი.

– ვფიქრობ, მნიშვნელოვანი და მისასალმებელია ის, რომ 2015 წელს ენერგეტიკული ქარტიის თავმჯდომარე ქვეყანა იქნება საქართველო და ალბათ, ნოემბერში საქართველოში გაიმართება ძალიან დიდი კონფერენცია. ქარტიაში 50-ზე მეტი ქვეყანაა გაწევრიანებული და ყველა ქვეყნის წარმომადგენელი ეწვევა საქართველოს. ჩვენ მიზნად გვაქვს დასახული, რომ რაც შეიძლება მეტი რეფორმა განვახორციელოთ ენერგეტიკულ დარგში. ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი რეფორმები იქნა განხორციელებული და ეს მომავალშიც გაგრძელდება, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე განმატებით, საქართველო არის ძალიან მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანა და ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი პოტენციალი იმისთვის, რომ უახლოეს მომავალში გავხდეთ ენერგეტიკის ექსპორტიორი ქვეყანა.

◎ უმაღლესი ხელისუფლება



უშიშროების საბჭო და კონსტიტუციის „შავი ყუთი“

ეროვნული უშიშროების საბჭოს თემა — პრეზიდენტისა და მთავრობის დაპირისპირების ერთგვარი დემონსტრირება თუ ვითარების მოწესრიგებისკენ გადადგმული ნაბიჯი? - საქართველოს პრეზიდენტი თავის დაქვემდებარებაში მყოფი უწყების გაძლიერებას ითხოვს. საუბარია ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობის გაზრდაზე. გიორგი მარგველაშვილის ინიციატივის თანახმად, უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს ოთხი ახალი წევრი უნდა დაემატოს: გენერალური შტაბის უფროსი, პარლამენტის თავმჯდომარე, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების და საგარეო საქმეთა კომიტეტების თავმჯდომარეები.

პრეზიდენტმა აღნიშნულ საკითხზე ავლაბრის სასახლეში სპეციალური შეხვედრა გამართა. შეხვედრას უშიშროების საბჭოს მდივანი უძღვებოდა. პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს ფუნქციონირებაზე პარლამენტის, საექსპერტო წრეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ორი საათის განმავლობაში მსჯელობდნენ. შეხვედრას ასევე დაესწრნენ დიპლომატები — აშშ-ისა და ბრიტანეთის ელჩები.

სახელმწიფოს მეთაური მიიჩნევს, რომ უშიშროების საბჭოს გაფართოება პრეზიდენტის, მთავრობისა და პარლამენტის ოპტიმალურ თანამშრომლობას შეუწყობს ხელს. შესაბამისი კანონპროექტი უახლოეს პერიოდში მომზადდება და განსახილველად პარლამენტს გადაეგზავნება.

საკანონმდებლო ორგანოში ოფიციალურ მსჯელობამდე ავლაბრის სასახლეში პრეზიდენტს საპარლამენტო უმრავლესობის გარდა უმცირესობის წარმომადგენლები — პავლე კუბლაშვილი და დავით დარჩიაშვილიც ეწვივნენ. ნაციონალური მოძრაობის წევრი დეპუტატები პრეზიდენტის ინიციატივას მიესალმებიან და რამდენიმე წლის წინათ მათი ხელისუფლების მიერ შეკვეცილი უფლებები დღეს ნაკლებად მოსწონთ. პავლე კუბლაშვილის თქმით, მარგველაშვილისთვის უფლებამოსილების სულ უფრო შემცირების საფუძველი ღარიბაშვილთან დაპირისპირებაა. „ინსტიტუციურ ბრძოლასთან გვაქვს საქმე“, — აცხადებს კუბლაშვილი. მისი კოლეგა დავით დარჩიაშვილი კი განმარტავს: **„უშიშროების საბჭოს თანდათანობითი დაკნინების ტენდენცია საპარლამენტო უმრავლესობისა და პრემიერ-მინისტრისგან მოდიოდა“.**

for.ge-ს კითხვაზე, რატომ არ ესწრებოდნენ პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრას მთავრობის წარმომადგენლები, უშიშროების საბჭოს მდივანი განმარტავს, რომ მთავრობა არ მიუწვევიათ.

„უშიშროების საბჭო არანაირად არ შედის აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციებში და ამიტომ, პრეზიდენტმა არ მიიჩნია საჭიროდ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ამ ეტაპზე ყოფილიყო ამ ხედვის პრეზენტაციაზე“.

სამართლებრივ საკითხთა ექსპერტი ლევან ალაფიშვილი ერთ-ერთია იმ ექსპერტთა შორის, ვინც პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრას დაესწრო. იგი ქვეყნის უშიშროების საკითხზე გაფართოებულ ფორმატში მსჯელობას მიესალმება და იმედოვნებს, რომ მთავრობა და პრეზიდენტი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე წარმატებით ითანამშრომლებენ.

„მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ დაიწყო ქვეყნის უშიშროების საკითხზე მსჯელობა. ამის პირველ სერიოზულ ნაბიჯად განვიხილავ პრეზიდენტის ინიციატივას, ოღონდ, ვისურვებდი, რომ პრეზიდენტი და მთავრობა, სწორედ ამ მიმართულებით იყვნენ ერთმანეთთან ჯანსაღ შეჯიბრში, თუ რომელი იქნება ლიდერი და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან ხედვებსა და გადაწყვეტილებებს წარმოგვიდგენს. წინააღმდეგობები უშიშროების სექტორში, არასწორად ან არათანმიმდევრულად გააზრებული გადაწყვეტილებები, შესაძლოა, კრიზისული სიტუაციის დროს ან კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფოსთვის სერიოზული პრობლემის შემქმნელი აღმოჩნდეს“, — განუცხადა for.ge-ს ალაფიშვილმა.

„პრეზიდენტის ხედვაში გადამეტებული არაფერია“, — ასე აფასებს მოკლედ for.ge-სთან ავლაბრის სასახლეში გამართულ შეხვედრას პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი და ხედვის ფართო აუდიტორიისთვის გაცნობის პრეცედენტს ქართული პოლიტიკისთვის პროგრესულ ნაბიჯს უწოდებს.

„ვფიქრობ, შემოდგომიდან ანალოგიურ ნაბიჯებს გადადგამს მთავრობის ხელმძღვანელიც.. ყველაფერს დაერქმევა თავის სახელი და ქვეყანა აღარ დაკარგავს ძვირფას დროს შიდა პოლიტიკურ კინკლაობაზე“, — განმარტავს ცისკარიშვილი.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე კი for.ge-სთან საუბრისას ყურადღებას კონსტიტუციაში დაგეგმილ ცვლილებებზე ამახვილებს და აღნიშნავს, რომ როგორც უნდა შეიცვალოს კონსტიტუცია, უშიშროების საბჭო ყოველთვის საჭირო იქნება, რადგან საქართველოს ამ კუთხით ბევრი გამოწვევა აქვს.

„პრეზიდენტმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ თავს ვალდებულად მიიჩნევს, იმოქმედოს არსებული კონსტიტუციის ფარგლებში, ერთი წლის თუ უფრო მეტი დროის შემდეგ ახალი რედაქცია ძალაში რომ შევა, მერე რა სახეს მიიღებს უშიშროების საბჭო, ახლა ამაზე მსჯელობა შეუძლებელია... თუმცა, კვლავ რჩება კითხვა, რა მოხდება, როცა კონსტიტუციის „შავი ყუთი“ გაიხსნება - დღეისთვის „შავი“, რადგან რა მზადდება, არ ვიცით, და თუ იქ აღმოჩნდა რაღაც სხვა, ალბათ, ინიციატივების ახალი სახით წარმოდგენაც არ იქნება პრობლემა“, — აცხადებს საყვარელიძე და აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე საბჭოს გაფართოება ნამდვილად საჭიროა და პრეზიდენტის ხედვაც მართებულია.

მადლენა მაჭარაშვილი

◎ წარსული და დღევანდელობა

სწორედ ევროკავშირთან ხელშეკრულება გვავალდებულებს საყდრისის მსგავსი კულტურული მემკვიდრეობის დაცვას!

საყდრისის გადარჩენის კომიტეტი პარტიებს მიმართავს

საყდრისის გადარჩენის საზოგადოებრივი კომიტეტი მოუწოდებს პოლიტიკურ პარტიებს, ნუ მოახდენენ თემის პოლიტიზირებას. ამასთან დაკავშირებით, საყდრისის გადარჩენის საზოგადოებრივი კომიტეტი საზოგადოებას და პოლიტიკური პარტიებისადმი მიმართვის ტექსტს ავრცელებს, რომელსაც დღეს გთავაზობთ.

„საყდრისის გადარჩენის საზოგადოებრივი კომიტეტის ინიციატივითა და ორგანიზებით, მიმდინარე წლის 14 აპრილს, საყდრისში, უძველესი ოქროს მაღაროს დასაცავად დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი აქცია. მედიის და საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესისა და ჩართულობის გამო, საყდრისის ირგვლივ პროცესები, აქციის დაწყების შემდგომ, სასიკეთოდ წარიმართა. ამ პროცესებში კომიტეტი,პირველ რიგში, განსაკუთრებული მადლიერებით უსვამს ხაზს მასმედიის წარმომადგენლების წვლილსა და ძალისხმევას, რომლებიც თითქმის 24-საათიანი რეჟიმის ფარგლებში აშუქებდნენ საყდრისის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს. რაღა თქმა უნდა, საზოგადოების ინტერესების სასიკეთოდ. საყდრისის გადარჩენის საზოგადოებრივი კომიტეტი განსაკუთრებულ მადლობას უხდის ასევე იმ მეცნიერებს, რომელთაც გამოიკვლიეს და მეცნიერულად, დოკუმენტურად, პროფესიულ დონეზე დაასაბუთეს საყდრისის უძველესი მაღაროს უნიკალური მნიშვნელობა, რომლის თაობაზეც ინფორმირებულია ასევე საერთაშორისო სამეცნიერო კორპუსი და აკადემიური წრეები. კვლევების აქციის პარალელურად მხარდაჭერას გამოთქვამდნენ მეცნიერები, — არქეოლოგები, გეოლოგები, მეტალურგები, კულტუროლოგები, ისტორიკოსები და სხვა. ამავე პერიოდში მოხდა ასევე საყდრისის პრობლემის გაცნობა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. თბილისში, გაეროს ოფისში მოეწყო საკითხის განხილვა, რომელსაც ყველა ელჩი ესწრებოდა. სხვადასხვა საელჩოს წარმომადგენლები და დიპლომატები სტუმრობდნენ ასევე კარვების აქციას საყდრისში და მიმდინარე ინფორმაციებს თავად აქციის მონაწილეებისგან იღებდნენ. პროცესების სასიკეთოდ დაძვრაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ემიგრანტებმა, რომელთაც ათასობით ხელმოწერა და თხოვნის წერილი გამოაგზავნეს საქართველოში, რომ საყდრისი გადარჩენილიყო და მომხდარიყო მისი აღიარება. გადამწყვეტი როლი შეასრულეს ასევე ახალგაზრდებმა, სტუდენტებმა, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საყდრისის პრობლემის გახმაურებაში. ახალგაზრდებმა სუფთა, გულწრფელი ძალის მონაწილეობით,საყდრისის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებში, საზოგადოების სანდოობა კიდევ უფრო გაზარდეს. კომიტეტი განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს უწმინდესისადმი და სასულიერო პირებისადმი, რომელთაც ღია მხარდაჭერა გამოუცხადეს საყდრისის გადარჩენის იდეას.ასევე, მადლობა გვინდა, გადავუხადოთ ყველა იმ ადამიანს, ვინც საყდრისს გვერდში უდგას და მონაწილეობას იღებს კარვების აქციაში როგორც ფიზიკურად, ისე ფინანსურად.

> **საყდრისის გადარჩენის კომიტეტი წარმოადგენს საზოგადოებრივ, აპოლიტიკურ ორგანიზაციას და მკაცრად ემიჯნება რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან გაერთიანებას, ან მათთან ასოციირებას. ვფიქრობთ, რომ ძალთა ერთობა ამ შემთხვევაში უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე საქმიანობების აღრევა.**

სწორედ, ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანების და არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით დაკომპლექტდა საყდრისის გადარჩენის საზოგადოებრივი კომიტეტი, რომ არა ისინი საკითხი სასიკეთოდ ვერ დაიძვრებოდა. კომიტეტი დღემდე ცდილობს, რომ საყდრისის პრობლემა ქართული საზოგადოების, ჩვენი წინაპრების, წარსულისა და მომავალი თაობის წინაშე, მაქსიმალური პასუხისმგებლობით, სასიკეთოდ იყოს გადაწყვეტილი.კომიტეტი დიდ მადლობას უხდის ადგილობრივ მოსახლეობას, — დმანისის, დიდი დმანისის, კაზრეთის, ბალიჭის და საერთოდ ბოლნისის მცხოვრებთ.

ასევე, თავად საყდრისის გადარჩენის საზოგადოებრივი კომიტეტი შეხვდა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, რომლებსაც გავაცანით საყდრისის პრობლემა და ვთხოვეთ, მათი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში ეაქტიურათ. პოლიტიკური პარტიების ნაწილმა გაითვალისწინა ჩვენი თხოვნა და მოხარული ვართ, რომ თემისადმი რეზონანსი მათი ჩართულობით კიდევ უფრო გაიზარდა. აქვე გვინდა საყდრისის გადარჩენის საზოგადოებრივი კომიტეტის სახელით, ყველა პოლიტიკურ პარტიას მოვუწოდოთ, რომ საყდრისის პრობლემას მიუდგნენ მაღალი ზნეობრივი სტანდარტებით და არ მოხდეს თემის პოლიტიზირება, არ ჰქონდეს პოლიტიკურ სპეკულაციებს ადგილი ისე, რომ საყდრისი დაზარალდეს. ჩვენ, ხაზს ვუსვამთ, რომ მოხარული ვიქნებით, შევხვდეთ საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს და საყდრისის გულშემატკივარს, ვესაუბროთ, აზრები გავცვალოთ და რიგ შემთხვევაში ერთობლივი ღონისძიებებიც გავმართოთ. თუმცა, აუცილებლად მიგვაჩნია, გაიმიჯნოს პოლიტიკური პარტიების აქტიურობა და კომიტეტის აქტიურობა. ამიტომ, საყდრისში, სურვილის შემთხვევაში, უპრიანი იქნება ცალკე მოხდეს ბანაკის ორგანიზება, თუნდაც პარტიული სიმბოლიკებით და თემა კონკრეტული პოლიტიკური პარტიის მხრიდან იყოს წამოწეული. როგორც მოგეხსენებათ, საყდრისის გადარჩენის კომიტეტი წარმოადგენს საზოგადოებრივ, აპოლიტიკურ ორგანიზაციას და მკაცრად ემიჯნება რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან გაერთიანებას, ან მათთან ასოციირებას. ვფიქრობთ, რომ ძალთა ერთობა ამ შემთხვევაში უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე საქმიანობების აღრევა.

აქვე გვინდა, დავძინოთ, რომ ამ ეტაპისთვის პროცესები სასიკეთოდ არის დაძრული. უკვე ყველამ აღიარა, მათ შორის, სახელმწიფოს მხრიდან სპეციალურად მოწვეულმა დამოუკიდებელმა საერთაშორისო ექსპერტებმაც, რომ საყდრისი არის ქრისტეს შობამდე მესამე ათასწლეულის მსოფლიოში უძველესი ოქროს მაღარო. კომიტეტის აქტიურობა და ამ ეტაპისთვის მიღწეული შედეგები ნამდვილად არის ქვეყანაში ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების გამოცოცხლების სამაგალითო და უპრეცედენტო ფაქტი, რომელიც მთელი საზოგადოების და ყველა ინსტიტუციისთვის საამაყო და მოსაფრთხილებელია. საყდრისის ოქროს უძველესი მაღარო ადასტურებს, რომ პრეისტორიულ ხანაში ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ ოქროს სამთო წესით მოპოვების მეთოდიკა, წარმოების პროცესი, საქმიანი ცხოვრება და კულტურა, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით საამაყოა. ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულების ფარგლებში სწორედ მსგავსი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ვალდებულებაც გვაქვს აღებული.საყდრისი დღევანდელი საქართველოს უმნიშვნელოვანესი სიმდიდრეა, რომელიც ჩვენი თვითმყოფადობისთვის, როგორც საზოგადოებრივი, ისე პოლიტიკური ასპარეზის ფარგლებში უდიდეს მნიშვნელობას შეასრულებს, თუ ჩვენი წინაპრების ეს პრეისტორიული სიმდიდრე გონივრულად იქნება გამოყენებული.

უახლოეს დღეებში საყდრისის გადარჩენის საზოგადოებრივი კომიტეტი გეგმავს მეცნიერებთან ერთად შეხვდეს კულტურის ახალ მინისტრს, გააცნოს და მიაწოდოს ყველა დეტალი და დამოკიდებულება საყდრისთან დაკავშირებით“, — ნათქვამია მიმართვაში.

გალში 20 ათასზე მეტ ქართველს ხმის უფლება ჩამოერთვა

ზურაბ შენგელია - თავად აფხაზებსაც ძალიან ეშინიათ, რომ ამომრჩევლების სიების საკითხმა საქმე სისხლისღვრამდე არ მიიყვანოს

24 აგვისტოს „საპრეზიდენტო არჩევნების“ წინ აფხაზეთში არსებულ ვითარებაზე, კანდიდატების გეგმებზე, სავარუდოდ, თუ როგორ განვითარდება პოლიტიკური პროცესი აფხაზეთში, „ინტერპრესნიუსი“ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ხელმძღვანელს ზურაბ შენგელიას ესაუბრა.

— ბატონო ზურაბ, 24 აგვისტოს აფხაზეთში დე ფაქტო ხელისუფლების რიგით მეოთხე პრეზიდენტის არჩევნები იმართება. როგორ შეაფასებდით აფხაზეთში წინასაარჩევნოდ არსებულ ვითარებას?

— ვითარების დახასიათება იმიტომ არის რთული, რომ აფხაზეთში წინასაარჩევნო პერიოდი ძალიან მოულოდნელად დადგა. თავად ის ფაქტი, რომ ხალხის აღელვებას ასე სწრაფად მოჰყვებოდა შედეგი — ანქვაბის გადადგომა, საზოგადოებისთვის მოულოდნელი იყო. თავიდან მომხდარის გამო დაბნეულობა შეინიშნებოდა, როგორც აფხაზურ საზოგადოებაში, ისე რუსეთის ისტებლიშმენტში. ანქვაბის სწრაფ გადადგომას არ ელოდა ძალიან ბევრი.

როცა ხალხის მღელვარების დაწყების პირველ ეტაპზე მოსკოვიდან სოხუმში შესარიგებლად სურკოვი ჩავიდა, მაშინ ძალოვანმა სტრუქტურებმა ანქვაბის მხარე დაიჭირეს. უკმაყოფილების მეორე ტალღის შემდეგ, როცა სურკოვს სოხუმში, რუსეთის შსს-ს ყოფილი მინისტრი და ახლა რუსეთის უშიშოების საბჭოს მდივნის მოადგილე ნურგალიევი ჩამოჰყვა, მაშინ ყველა რეალური ფაქტის, ანუ ანქვაბის გადადგომის წინაშე აღმოჩნდა.

არჩევნების მოულოდნელობა იმით აისახა წინასაარჩევნო კამპანიაზე, რომ ყველა კანდიდატი არჩევნებს აშკარად მოუმზადებელი შეხვდა. არც ერთ მათგანს არ ჰქონდა წინასაარჩევნო პროგრამა. არც საზოგადოება და არც ძირითადი პოლიტიკური მოთამაშეები არჩევნებისთვის მზად არ იყვნენ. შესაბამისად, ეს საკმაოდ კარგად აისახა წინასაარჩევნო კამპანიაზე, რომელიც რეალურად ანქვაბის გადადგომისთანავე დაიწყო.

— აფხაზეთში დე ფაქტო ხელისუფლების პრეზიდენტისა და ვიცე პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობენ რაულ ხაჯიმბა-ვიტალი გაბნინას, მერაბ ქიშმარიას -საიდ ლოგუას, ლეონიდ ძიაფშიფა-ბორის აბატობიას და ასლან ბჟანიას-ასტან აგრბას ტანდემები. როგორ დაახასიათებდით საპრეზიდენტო გუნდების შანსებს, იმ ჯგუფებს, ვინც მათ უჭერს მხარს?

— დავიწყებ პოლიტიკურად ყველაზე გამოცდილ და ძლიერ კანდიდატ რაულ ხაჯიმბადან, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების ვეტერანია. იგი საპრეზიდენტო არჩევნებში სერგეი ბაღაფშთან ორჯერ, ხოლო ერთხელ ალექსანდრე ანქვაბთან დამარცხდა. მან არჩევნები სამივეჯერ სხვადასხვა მიზეზით წააგო.

ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ხაჯიმბა მოსკოვმა შექმნა. მაისში ხალხის მღელვარება არ იყო ხაჯიმბას ინსცენირებული. მასში სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფები მონაწილეობდნენ. რუსეთის დაბნეულობა იმაში გამოიხატა, რომ არეულობის ვითარებაში მოსკოვმა არჩევანი მისთვის ყველაზე ნაცნობ ფიგურაზე, ხაჯიმბაზე გააკეთა. პრაქტიკულად, რუსეთმა მაის-ივნისში შექმნილ არეულობაში მისი ლიდერობა დაადასტურა. მაშინ ხაჯიმბას რუსეთის მხარდაჭერა ყველაზე მეტი ჰქონდა და ახლაც გამარჯვების ყველაზე მეტი შანსები აქვს. ახლა მას მხარს უჭერს ვეტერანთა ორგანიზაცია „არუაა“ და საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც 14 პარტიაა გაერთიანებული. ასე რომ, მისი ელექტორატი სწორედ ამ პარტიების მხარდამჭერები არიან.

მეორე კანდიდატი, რომელიც სწრაფად იწერს ქულებს, გახლავთ ასლან ბჟანია. იგი უცნაური მოვლენაა აფხაზურ პოლიტიკაში, ვინაიდან არ გახლავთ პოლიტიკური ფიგურა და აფხაზური საზოგადოება მას კარგად არ იცნობს. მას მხარს უჭერს ვეტერანთა ორგანიზაცია „ამცახარა“, რომელიც თავის დროზე, მხარს ანქვაბს უჭერდა. მას ასევე მხარს უჭერენ საკმაოდ სერიოზული ბიზნესის წარმომადგენლები და რუსეთში მცხოვრები აფხაზური დიასპორა. მისი პოლიტიკური საქმიანობა ახლა დაიწყო, მაგრამ ფაქტია, რომ საკმაოდ სწრაფი ნაბიჯებით მიიწევს წინ. უშიშროების განხრით მუშაობდა რუსეთში, მოსკოვში აფხაზეთის წარმომადგენლობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელმძღვანელად. ანქვაბის მმართველობისას ის აფხაზეთის უშიშროების სამსახურს ხელმძღვანელობდა. საინტერესოა, რომ 27 მაისს დაწყებული მღელვარებების მეორე დღეს, ანუ 28 მაისს, პრეზიდენტმა ანქვაბმა მას გენერლის წოდება მიანიჭა. სწორედ ამის გამოა, რომ ბჟანია ანქვაბის პოლიტიკურ მემკვიდრედ განიხილება. ანქვაბის პოლიტიკური დასაყრდენი და მხარდამჭერები ბჟანიას გარდა მხარს არავის უჭერენ. ბჟანიას წინასაარჩევნო კამპანია ძალიან განსხვავდება სხვა კანდიდატების კამპანიებისაგან. იგი არ იყენებს „შავ პიარს“და დაპირებების გაცემისას და პოლიტიკური განცხადებების კეთებისას ანქვაბის მსგავსად მოზომილი და ფრთხილია.

რაც შეეხება ქიშმარიასა და ძიაფშიფას. საინტერესოდ თქვა ხაჯიმბამ — საპრეზიდენტო არჩევნებში ოთხი გენერალი მონაწილეობს, რაც ნიშნავს, რომ ყველა მათგანმა ქვეყანაში გენერალური წესრიგი უნდა დაამყაროსო. ჩემი აზრით, ისინი წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურობით არ გამოირჩევიან, ვინაიდან თავადაც კარგად იციან, რომ ძირითადი ბრძოლა ხაჯიმბასა და ბჟანიას შორის გაიმართება. არ გამოვრიცხავ, რომ ამ თემაზე კანდიდატებს შორის გარკვეული მოლაპარაკებები უკვე გაიმართა კიდეც.

— საპრეზიდენტო კამპანიის მსვლელობისას აქტიურად განიხილება რუსეთსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობების ახალი ფორმატისა და, შესაბამისად ახალი, ასოციირებული ურთიერთობების ხელშეკრულების თემა. სხვათა შორის, სწორედ ეს საკითხი აღმოჩნდა მაისის თვეში აფხაზეთში პოლიტიკური კრიზისის წარმოშობის მიზეზი და ანქვაბის გადადგომის საბაბიცა და საფუძველიც. ვითარებაში, როცა, რუსეთსა და აფხაზეთს შორის 60-ზე მეტი შეთანხმებაა გაფორმებული, გაუგებარია, ურთიერთობების რა ახალ ფორმატზე შეიძლება იყოს საუბარი. პრეზიდენტობის კანდიდატები კი აცხადებენ, რომ მათი მიზანი ევრაზიულ კავშირში აფხაზეთის გაწევრიანებაა, მაგრამ არც ყაზახეთს და არც ბელორუსს აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარებული არ აქვთ, ამგვარი რამ აშკარად არარეალისტურად გამოიყურება...

— ვიდრე ამ თემაზე რამეს ვიტყოდეთ, უნდა გავიხსენოთ წინა პერიოდი, რომელიც ამას წინ უძღოდა. ანქვაბს ბრალს სდებდნენ რუსული ფულის არასწორად ხარჯვაში და რეფორმების გაუტარებლობაში, მაგრამ თავის დროზე, ანქვაბმა გადადგა რამდენიმე ისეთი ნაბიჯი, რომელიც რუსეთის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა.

პირველი — უარი თქვა დიდი პორტების მშენებლობაზე სოხუმი-ქვემო ეშერა-გუდაუთაში, რომლის აშენებასაც რუსეთი გეგმავდა. ამ სამხედრო დანიშნულების ობიქტების მშენებლობა ჩრდილოეთ კავკაისიის იმ სამხედრო ოლქის გეგმაში იყო ჩასმული, რომლის დაქვემდებარებაშიც რუსეთმა აფხაზეთი შეიყვანა. მან ასევე უარი თქვა ლოჯისტიკური ცენტრის აშენებაზე ქვემო ეშერაში, რომელსაც ფილიალები ექნებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში და თუკი რამე შემოვიდოდა ამ პორტებში, მისი განაწილება სწორედ ქვემო ეშერიდან მოხდებოდა. ანქვაბმა ეკოლოგიური და ნაკრძალის შენარჩუნების მოტივით უარი თქვა კოდორის ხეობის გავლით ჩრდილოეთ კავკასიაში მიმავალი გზის მშენებლობაზე. ანქვაბმა ასევე არ გამოხატა თავისი დადებითი დამოკიდებულება აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთზე მიმოსვლის აღდგენაზე. ეს გახლდათ ის ოთხი რამ, რაც რუსეთს აფხაზეთში უხერხულობას უქმნიდა.

ახლა რუსეთსა და აფხაზეთს შორის ახალი ხელშეკრულების შემუშავებაზე ჯგუფი მუშაობს. ეს გახლავთ სპეციალური პროექტი, რომლის შემუშავებაზე მუშაობს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი. წინასაარჩევნო პერიოდში პრეზიდენტობის კანდიდატებმა ამ საკითხზე დააფიქსირეს თავიანთი დამოკიდებულება. ხაჯიმბას მიაჩნია, რომ კოდორის გავლით ჩრდილოეთ კავკასიაში გზა აუცილებლად უნდა გაკეთდეს. ასევე აუცილებელია რკინიგზის ამოქმედება, ხოლო დანარჩენ ორ საკითხზე მას აზრი არ გამოუთქვამს.

რაც შეეხება ბჟანიას, ის კონკრეტიკას გაურბის. ერთადერთი, რასაც საჯაროდ აცხადებს, ისაა, რომ სოხუმმა ფსოუზე უნდა გააკეთოს ისეთივე საზღვარი, როგორიცაა ვთქვათ გერმანიასა და საფრანგეთს შორის. ჩვენ თუ ვიგულისხმებთ, რომ რუსეთი აქცენტს ხაჯიმბაზე აკეთებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ახალი ხელშეკრულების კომპონენტები ის საკითხებია, რაზეც უკვე ვისაუბრე.

— რა ადგილი უკავია ქართულ დისკურსს საარჩევნო კომპანიაში და რა გეგმები აქვთ პრეზიდენტების კანდიდატებს საქართველოს მიმართ?

— ჩემი აზრით, ამ თემაზე საუბარი საერთოდ არ არის. სხვათა შორის, წინა არჩევნებზეც ასე იყო. პრეზიდენტობის კანდიდატები ანქვაბი-ხაჯიმბა-შამბა მოლაპარაკებული იყვნენ, რომ ამ თემაზე კითხვა ერთმანეთისთვის არ დაესვათ. მაგრამ ახლა, ამის შესახებ გაცხადებული აქვს ხაჯიმბას.

გალში მცხოვრები ქართველი მოსახლეობისთვის არასწორად გაცემული პასპორტების ჩამორთმევა ხაჯიმბას მიეწერება. ბოლო პერიოდში ხაჯიმბამ დაიწყო ამის გამოსწორება. რამდენიმე დღის წინ, გაგრაში სომეხი ეროვნების მოსახლეობასთან შეხვედრისას მან განაცხადა, რომ პასპორტების ჩამორთმევა არასწორი იყო. ყველას, ვინც კი ცხოვრობს გალის რაიონის ტერიტორიაზე და აქვს კერძო საკუთრება, ის, რა თქმა უნდა, აფხაზეთის სრულუფლებიანი მოქალაქეა. საქართველოსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე სხვა საუბარი არც არის. არც ერთ კანდიდატს, ჩვენთვის ცნობილ არც ერთ შეხვედრაზე საქართველოზე საჯაროდ განცხადება არ გაუკეთებია.

— როგორია, ხაჯიმბას გარდა, სხვა კანდიდატების დამოკიდებულება გალში მცხოვრები ქართველი მოსახლეობისადმი? უკვე ცნობილია, რომ არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს 132. 861 მოქალაქემ. მათ შორის აღარ არის გალის რაიონის 26 ათასი, ზოგი მონაცემებით 22 ათასი მცხოვრები, რომლებთაც მოქალაქეობა ჩამოერთვათ. უკვე ცნობილია, რომ გალელთაგან არჩევნებში მონაწილეობას მხოლოდ 3150 ადამიანი მიიღებს...

— ამ თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ გალელები არჩევნებში მონაწილეობას არ იღებენ, საინტერესოა ის, რომ პრეზიდენტობის კანდიდატთაგან გალის რაიონში მხოლოდ ბჟანია იყო ჩასული. ამ არჩევნებზე დიდ პრობლემას წარმოადგენს ამომრჩეველთა სიების მოუწესრიგებლობა. თავად აფხაზებსაც ძალიან ეშინიათ, რომ თუ აფხაზეთის არჩევნებზე მეორე ტურის დანიშვნა აუცილებელი გახდა, ამომრჩევლების სიების საკითხმა საქმე შეიძლება, სისხლისღვრამდეც მიიყვანოს. სიების ამგვარი მდგომარეობა იმაზე მიუთითებს, რომ არჩევნებისთვის საზოგადოების გარდა მზად არც ხელისუფლება არ იყო.

— პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებას სოხუმთან დიალოგის დაწყებისთვის მზადყოფნისა და აფხაზებთან ურთიერთობების „სუფთა ფურცლიდან“ დაწყების შესახებ სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი ხინთბა გამოაეხმაურა. ხინთბა საქართველოს პრემიერს სთავაზობს, ქართულმა მხარემ აღიაროს აფხაზეთში ომის დაწყებაზე პასუხიმგებლობა, უარი თქვას აფხაზეთის იზოლაციაზე და, „ბოლოს და ბოლოს, გაიგოს ქართულმა მხარემ, რომ აფხაზების ინტერესია, იცხოვრონ დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოში“. როგორ შეაფასებდით პრემიერის განცხადებაზე სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების გამოხმაურებას?

— პრემიერ ღარიბაშვილის განცხადებაზე სოხუმის ხელისუფლების საგარეო უწყებამაც გააკეთა ოფიციალური განცხადება. თუ ხინთბასა და ოფიციალურ განცხადებას ერთმანეთს შევადარებთ, განსხვავებასაც შევამჩნევთ. ხინთბას განცხადება უფრო რბილია, ხოლო ოფიციალური განცხადება უფრო მკაცრი და კატეგორიული. ხინთბას აქვს ფრაზა — ჩვენ გვინდა დემოკრატიულ, ცივილიზებულ სახელმწიფოში ცხოვრება. საგარეო უწყების განცხადებაში კი ხაზგასმულია, რომ აფხაზებს დამოუკიდებლობა უნდათ. ხომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხინთბა „დემოკრატიულ, ცივილიზებულ სახელმწიფოში“, საქართველოს გულისხმობდა. შესაძლოა, მე იმას ვხედავ, რაც მინდა, დავინახო, მაგრამ ამ ორ განცხადებას შორის განსხვავება რომ აშკარად არსებობს, ფაქტია.

საერთოდ, უნდა ვთქვა, რომ აფხაზეთის პოლიტიკურ ძალებში საქართველოსადმი ინტერესი საკმაოდ გაძლიერებულია. ინტერესის გაძლიერება უკავშირდება იმას, რომ 1992-1993 წლის კონფლიქტის შემდეგ პირველად აღმოჩნდა, რომ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებსა და აფხაზებს გაუჩნდათ საერთო ინტერესი. ეს გახლავთ რუსეთთან აფხაზეთის კიდევ უფრო დაახლოების საკითხი. ის, რომ გალში 20 ათასზე მეტ ქართველს ხმის უფლება ჩამოერთვა, სწორედ ამას ნიშნავს.

თუ აფხაზეთში ჩატარდებოდა რეფერენდუმი აფხაზეთის რუსეთთან უფრო მეტად დაახლოებაზე, რუსეთი იმ შედეგს ვერ მიიღებდა, რაც მას უნდა. თუ ჩატარდებოდა ახალი საპრეზიდენტო არჩევნები და პრეზიდენტი გააფორმებდა ახალ ხელშეკრულებას, ეს სხვა საკითხი იქნებოდა. როგორც ჩანს, საქმე სწორედ აქეთკენ მიდის და ამ შემთხვევაშიც აფხაზები და ქართველები ერთად იქნებოდნენ. ეს არის ის პატარა ნაპერწკალი, რაც მაძლევს იმედს, რომ აფხაზებთან ურთიერთობების აღდგენა შესაძლებელია. აქამდე ქართველებსა და აფხაზებს საერთო ინტერესი არ ჰქონიათ.

აფხაზებს რუსეთთან არ უნდათ იმაზე მეტად დაახლოება, რაც ახლა აძვთ. აფხაზებს არ უნდათ რკინიგზის ამოქმედება, აფხაზეთში დიდი სამრეწველო პორტების მშენებლობა. რუსეთთან უფრო მეტი სიახლოვე არც აფხაზებს უნდათ და არც გალში მცხოვრებ ქართველებს. ეს არის ის საერთო ინტერესი, რომელიც არჩევნების დასრულების შემდეგ აფხაზეთის ახალი პრეზიდენტის მთავარი თავის ტკივილი იქნება.

ესაუბრა
კოტა გენდელიანი

გალში მცხოვრები ქართველი მოსახლეობისთვის არასწორად გაცემული პასპორტების ჩამორთმევა ხაჯიმბას მიეწერება. ბოლო პერიოდში ხაჯიმბამ დაიწყო ამის გამოსწორება. რამდენიმე დღის წინ, გაგრაში სომეხი ეროვნების მოსახლეობასთან შეხვედრისას მან განაცხადა, რომ პასპორტების ჩამორთმევა არასწორი იყო. ყველას, ვინც კი ცხოვრობს გალის რაიონის ტერიტორიაზე და აქვს კერძო საკუთრება, ის, რა თქმა უნდა, აფხაზეთის სრულუფლებიანი მოქალაქეა.

◎ ძლიერი გვალვებიც „ოცნების“ ბრალი ყოფილა!

„მთავრობის წყალმა“ ყველა სოფლამდე ჯერ ვერ მიაღწია

რამდენიმე დღეა კახეთის სოფლებში სასმელ წყალს არიგებენ – თითო ოჯახზე 250 ლიტრს. ინიციატივა რეგიონის გუბერნატორს ეკუთვნის, თუმცა, არის სოფლები, სადაც „მთავრობის“ წყალი ჯერ არ მიულიათ, ხოლო იქ, სადაც მიიღეს, ამბობენ, რომ 250 ლიტრი არასაკმარისია.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელი ილიაწმინდა იმ სოფლების ჩამონათვალში ჯერ ვერ მოხვდა, სადაც სასმელ წყალს არიგებენ. არადა, სოფელში სასოცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემა ათწლეულებია აწუხებთ. როგორც სოფლის მცხოვრებლებმა განაცხადეს, მათ სასმელი წყალი დღის განმავლობაში, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, ერთი საათით მიეწოდებათ:

„სასმელი წყლის გამო მეზობელთან მომივიდა დიდი ჩხუბი. წყალი მცირე ხნით და ისიც ცოტა მოდის, ამიტომ წყლის აღებას ვერც ერთი ვერ ვასწრებთ“.

„XXI საუკუნეში კი არა, ჩვენ ვართ პირველყოფილთა წყობილებაში. მინდვრიდან რომ მოხვალ და წყალი არ გაქვს, რა უნდა გააკეთო?!“

„წყალი დღეში ერთი საათით მოდის, შემდეგ წყდება და მომდევნო დღეს ველოდებით“, – განაცხადეს ილიაწმინდაში მცხოვრებლებმა.

ილიაწმინდაში გამგებლის წარმომადგენელი ილია ბაიდოშვილი სასმელი წყლის პრობლემას ძლიერ გვალვებს უკავშირებს, თუმცა, ირწმუნება, რომ პრობლემა არ არის მასშტაბური.

„კონკრეტულ უბანში რომ წყალი საერთოდ არ იყოს, ასეთი რამ არ არის. პრობლემა მეტ-ნაკლებად არის, თუმცა, წყალი ყველა უბანში მაინც მოდის“.

ბოლო თვეების განმავლობაში, ძლიერი გვალვის გამო, კახეთში წყლის მიწოდების პრობლემა შეიქმნა, ამიტომ თექვსმეტი აგვისტოდან კახეთის ზოგ მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელისუფლება სპეცტექნიკის მეშვეობით მოსახლეობას წყლით ამარაგებს – თითო ოჯახს 250 ლიტრით. წყალი 2-ჯერ უკვე დარიგდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ გუჯარეთში, თუმცა, ადგილობრივები გვეუბნებიან, რომ წყალი არასაკმარისია და დამატებით მისი მოტანა 5 კილომეტრის სიშორიდან უწევთ.

Gleorgi Aladashvili (RFE/RL)

„ეს 250 ლიტრი მხოლოდ დღეს გვეყოფა და ხვალ რა ვქნათ? ან საქონელს რა დავალევინოთ? წყალი არ გვყოფნის და დამატებით მეზობელი სოფლიდან, გიორგეთიდან, მოგვაქვს – ისიც, თუ მანქანა ვერ ვიშოვეთ, 5 კილომეტრი ფეხით უნდა ვიაროთ“.

წყალს კახეთის ზოგ სოფელში თავდაცვის სამინისტროსგან გამოთხოვილი სპეცტექნიკის მეშვეობით არიგებენ. მხარის გუბერნატორის განცხადებით, თითოეულ რაიონს 3-4 სპეციალური მანქანა ემსახურება.

„სადაც პრობლემაა, სატრანსპორტო საშუალებებით სასმელ წყალს ვაწვდით. მოთხოვნის შესაბამისად, ტრანსპორტი თავდაცვის სამინისტრომ გამოგვიყო. წყალს მანამდე დავარიგებთ, ვიდრე პრობლემა იარსებებს“, – განაცხადა ირაკლი შიოლაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ბოლო თვეების განმავლობაში, ძლიერი გვალვის გამო, კახეთში წყლის მიწოდების პრობლემა შეიქმნა. დაშრა თითქმის ყველა მთის მდინარე, საიდანაც წყლის სათავო ნაგებობები მარაგდება. სასმელი წყლის გარდა, პრობლემურია სარწყავი წყალიც. ამის გამო კი ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები უკვე განადგურდა.

გიორგი ალადაშვილი,
რადიო „თავისუფლება“

◎ ეკოლოგია

სასწორის რომელი პინა გადასწონის?

მეწარმეებს პროდუქციის მეორადი გადამუშავება დაეკისრებათ

ალბათ, ყველას გვინახავს ჩვენს ქუჩებში, მინდვრებში, ან პლაჟებზე დაყრილი ნარჩენები, შუშის ბოთლები, პოლიეთილენის პაკეტები... იმისათვის, რომ მდგომარეობა გამოსწორდეს, ჩვენი ქვეყნის მთავრობა ნარჩენების კოდექსის მიღებას გეგმავს, რომლის ერთ-ერთი მიმართულება ნარჩენების გადამუშავება და ამ პროცესზე პასუხისმგებლობის გადანაწილება იქნება. სწორედ ამ მიზნით, მეწარმეებს საკუთარი პროდუქციის მეორადი გადამუშავების პასუხისმგებლობა დაეკისრებათ. ცვლილებები კომპანიებისათვის მეტისმეტად მტკივნეული რომ არ იყოს, კოდექსის ძირითადი დებულებები ამ წლის ბოლომდე ჩამოყალიბდება და უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში ეტაპობრივად შევა ძალაში. ალბათ ვერავინ შეგვედავება, თუ ვიტყვით, რომ ეს არის კანონი, რომლის მიღებაც ჩვენს ქვეყანას ჭაერივით სჭირდება.

bpn.ge პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე, ბია ცაგარეიშვილს ესაუბრა.

– რატომ გადაწყვიტა ქვეყნის პარლამენტმა ამ ნაბიჯის გადადგმა?

– პარლამენტში უკვე ერთი წელია, ვმუშაობთ ნარჩენების მართვის კოდექსზე, რომელიც წლის ბოლომდე უნდა მივიღოთ. მსგავსი საკანონმდებლო აქტი არასოდეს გვქონია და ძალიან დიდი ჩავარდნა გვქონდა ამ მიმართულებით. არაფერს ვიტყვი მოწინავე ქვეყნებზე, ჩვენს უახლოეს სამეზობლოშიც კი, ეს პრობლემა უკვე დიდი ხანია, საკანონმდებლო დონეზეა მოგვარებული. მათგან განსხვავებით, ჩვენ ძალიან დიდი ჩამორჩენა გვაქვს და ეს ჩვენს ყოველდღიურობასაც ეტყობა. ამასთანავე, ჩვენ ხელი მოვაწერეთ ასოციირების ხელშეკრულებას და ავიღეთ ძალიან ბევრი ვალდებულება, მათ შორის, მყარი ნარჩენების მართვის მიმართულებითაც. ამიტომ, ჩვენი კანონმდებლობა ამ მხრივაც თანდათან უნდა დავუახლოვოთ ევროპულ კანონმდებლობას. საამისოდ პროექტში 5-6-წლიანი ვადაა გაწერილი. ნარჩენების მართვის კოდექსის შემუშავება ემსახურება იმას, რომ არ დაზარალდეს გარემო და მოსახლეობის ჯანმრთელობა.

– როგორ შეიმუშავეთ კოდექსი და რა სტადიაზეა ამჟამად მისი განხილვა?

– კოდექსი ევროპელი ექსპერტების უშუალო დახმარებით შემუშავდა, განსაკუთრებით ჩვენი გერმანელი კოლეგების დახმარებით. ის განსახილველად უკვე გადაეცა სამთავრობო სტრუქტურებს. დაახლოებით სექტემბერ-ოქტომბერში მთავრობა ამ უმნიშვნელოვანეს კოდექსს საქართველოს პარლამენტში შემოიტანს, ამის შემდეგ უკვე პარლამენტი დაიწყებს მის განხილვას და იმედია, რომ წლის ბოლომდე აუცილებლად მივიღებთ კოდექსს, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

– ბუნებრივია, კომპანიებს ნარჩენების გადამუშავება ძვირი დაუჯდებათ. ამ პრობლემას რა ეშველება?

– კომპანიები ისეთ ნარჩენებს, როგორიცაა შუშის, პოლიეთილენის ბოთლები, შეაგროვებენ და გადაამუშავებენ ან სხვა, შესაბამისი საქმიანობის განმახორციელებელ საწარმოებს მიაწვდიან. პროცესი გარკვეულ დანახარჯებთან არის დაკავშირებული და სწორედ ამიტომაც არის ამხელა ვადა მითითებული ასოციირების ხელშეკრულებაში. ბევრი პროგრესული ცვლილება 2017-2020 წლებში შევა ძალაში, მანამდე კი, ერთგვარი შეგუების პერიოდი იქნება. ამ საქმეში ჩართული იქნება არა მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლება, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობებიც – სწორედ მათზე გადავა ძალიან დიდი ტვირთი ნარჩენების შეგროვებისა და განთავსებისა. ჩვენ გავითვალისწინეთ, რომ მეწარმესაც და თვითმმართველობებსაც ეს ძალიან მძიმე ფინანსურ ტვირთად დააწვება, ამიტომაც მივეცით დრო. მეწარმეები უნდა მიეჩვიონ, რომ არ დააბინძურონ გარემო და ხელი შეუწყონ მეორადი ნარჩენების შეგროვებასა და გადამუშავებას. ყველა მოწინავე ქვეყანაში ხდება მყარი ნარჩენების ცალ-ცალკე გადამუშავება: შუშისა – ცალკე, პლასტიკატის- ცალკე და რკინის - ცალკე. მეწარმეები ზრუნავენ ნარჩენების ამოღებაზე და სახელმწიფოს ყოველმხრივ ხელს უწყობენ, რომ გარემო იყოს სუფთა. თუ გარემოს დაცვის პასუხისმგებლობა ყველამ არ გადავანაწილეთ, ჩვენ კარგა ხანს ვიცხოვრებთ ისეთივე სანაგვეში, როგორშიც დღეს ვცხოვრობთ. ის, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში, ქუჩებში ხდება, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. სიტუაციის გამოსასწორებლად უკვე შენდება რამდენიმე ახალი ნაგავსაყრელი და კოდექსის ამოქმედებასთან ერთად ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ნარჩენების გადამუშავება მეწარმეებისათვის შემოსავლის წყაროდ გადავაქციოთ.

– ცნობილი ფაქტია, რომ ნარჩენების გადამუშავება საკმაოდ წარმატებული და მომგებიანი ბიზნესია ევროპის ქვეყნებში.

– გეთანხმებით, და ჩვენთანაც ასე უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ეს ახალი სტადიაა და სიახლე შეიძლება ბევრს აშინებს, მაგრამ ქვეყნის განვითარება ამ მიმართულებით აუცილებელია. შეუძლებელია, ვლაპარაკობდეთ ტურიზმის განვითარებაზე, თუ ქუჩები და პლაჟები მოწესრიგებული არ გვექნება. შეხედეთ, რა მდგომარეობაშია ჩვენი მდინარეები და წყალსატევები, სადაც ფეკალური მასები ყოველდღე, პირდაპირ წყალში ჩაედინება. განსაკუთრებით დაბინძურებულია შავი ზღვა. საქართველოში არ არსებობს არც ერთი ბიოგამწმენდი ნაგებობა. სააკაშვილის მთავრობას ამისათვის ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს. ჩვენ ამ მიმართულებითაც უნდა გადავდგათ ევროპული კონვენციების შესაბამისი ნაბიჯები. საქართველოს ძალიან ბევრი ვალდებულება აქვს აღებული და თუ გარემოსდაცვითი ღონისძიებები არ ჩატარდება, ქვეყანა ვერც ერთ ნაბიჯს ვერ გადადგამს ევროკავშირისაკენ. რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ, რომ თბილისს – ამხელა ქალაქს – ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა არა აქვს? ასევეა ბათუმი, ფოთი, ანაკლია და ძალიან ბევრი ქალაქი, რომელიც მდინარეებთან, ტბებთან და ზღვასთან ახლოს მდებარეობს. ეს ამძიმებს ეკოლოგიურ ფონს ქვეყანაში. ჩვენ განსხვავებული თამაშის წესებს არავის ვთავაზობთ, რადგან ყველა კომპანიამ იცის, რომ მათი ანალოგები უცხოეთში სწორედ ასე მუშაობენ. მომეტებული პასუხისმგებლობა ეკოლოგიის წინაშე – ეს უნდა იყოს ქართველი მეწარმის სამარკო ნიშანი, ისევე როგორც არის ჩეხი, ბულგარელი, ან რუმინელი მეწარმის შემთხვევაში, არაფერს ვამბობ ფრანგზე, იტალიელზე და ინგლისელზე. დიახ, ნარჩენების გადამუშავება დასავლეთის ქვეყნებში სერიოზული შემოსავლის წყაროა: შესაფუთი ნაწარმის უდიდესი ნაწილი მოწინავე ქვეყნებში სწორედ მეორადი ნაწარმის გადამუშავებით არის მიღებული. მუყაოს ყუთები, რკინის ქილები, შუშის ბოთლები – ეს ყველაფერი მეორადი გადამუშავების ნაყოფია. მესმის, რომ პირველ ეტაპზე ეს ძნელად მისაღებია, ამიტომაც შევხვდით მეწარმეებს და ავუხსენით, რომ ამ საქმეში თანამებრძოლები უნდა გავხდეთ. მეწარმეებიც უნდა მიეჩვიონ ბრძოლას ეკოლოგიური უსაფრთხოებისთვის. სასწორის ერთ პინაზე ჩვენი ჯანმრთელობა დევს, მეორეზე კი – ის თანხა, რომელიც არსებული მდგომარეობის გამოსწორებას სჭირდება. ვფიქრობ, ჯანმრთელობა ადამიანისთვის ყოველგვარ სიმდიდრეზე უფრო ძვირფასია.

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სააკაშვილი ძველ პიჯაკებს კი აბრუნებს, მაგრამ ტერიტორიებსა და მილიონებზე დუმს...

ასე უპასუხა ექს-პრეზიდენტმა პროკურატურის ახალ ბრალდებებს

საქართველოს ექს-პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პიჯაკები შეიძლება გახდეს ახალი სასამართლო განსჯის საგანი. მიზეზი — ესაა ინციდენტი, რომელიც მოხდა საქართველოს მთავრობის კანცელარიაში, სადაც, სააკაშვილის წარმომადგენლის მტკიცებით, კანცელარიის დაცვის სამსახურმა მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა იმისათვის, რომ უარი განაცხადა, წაიღოს ექს-პრეზიდენტის კუთვნილი ნივთები, რომლებიც 19 აგვისტოს კურიერმა მიიტანა სააკაშვილის ოჯახის დავალებით. ინციდენტის შედეგად, სააკაშვილის წარმომადგენელმა განცხადებით პოლიციას მიმართა.

აღსანიშნავია, რომ გზავნილი ექს-პრეზიდენტისა წარწერით „ბატონო ივანიშვილო, ამას გიბრუნებთ გამოსაყენებლად პირადი სურვილის შესაბამისად“, გაიგზავნა საქართველოს ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის სახელზე.

შეგახსენებთ, რომ ორი სხვა ბრალდების გარდა, უფლებამოსილებათა გადაჭარბების საქმეებზე, საქართველოს პროკურატურამ გასულ კვირას განაცხადა ყოფილი პრეზიდენტის მიმართ ახალი ბრალდების წაყენების შესახებ 8,83 მილიონი ლარის გაფლანგვაში 2009 წლის სექტემბრიდან 2013 წლის თებერვლამდე. ეს თანხა ამასთან ერთად გულისხმობს სააკაშვილის ხარჯების განაღდებას ფეშენებელურ სასტუმროებსა და კურორტებზე, კოსმეტიკურ კლინიკებში ვიზიტებისა და ტანსაცმლის შეძენის დროს.

მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც თავისი საპრეზიდენტო ვადის დამთავრების შემდეგ შარშან ნოემბერში დატოვა საქართველო, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განუცხადა ბრალდებათა აბსურდულობის შესახებ. მისი სიტყვებით, ის საბიუჯეტო სახსრებს ხარჯავდა მხოლოდ ქვეყნის ინტერესებისათვის და ყველა ხსენებული ხარჯი დაკავშირებული იყო საქმიან მიზნებთან. რაც შეეხება კოსმეტიკურ პროცედურებს, მან კატეგორიულად უარყო ეს ბოლო ბრალდებები და მათ გამოგონილი უწოდა. სააკაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მასზე გამოაცხადა ქვეყნის შიგნით, და არა საერთაშორისო ძებნა, ვინაიდან, როგორც ექს-პრეზიდენტი ამტკიცებს, მთავრობის რეალური მიზანია, თავიდან აიცილოს მისი დაბრუნება საქართველოში და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა.

„არა მხოლოდ საშინაო პოლიტიკური საკითხი“

მიხეილ სააკაშვილის ხარჯების საკითხი გახდა დავის საბაბი საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილსა და პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს შორის, რამაც გამოიწვია ახალი საუბრები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მათ შორის წარმოქმნილ რთულ ურთიერთობებთან დაკავშირებით.

კერძოდ, ღარიბაშვილმა უსაყვედურა პრეზიდენტს ის, რომ მას ძალიან ბევრი დრო დასჭირდა, მოეხსნა გრიფი „საიდუმლო“ იმ დოკუმენტების ნაწილზე, რომლებიც დაკავშირებულია სააკაშვილის ხარჯებთან და რაც მარგველაშვილის კომპეტენციაში იმყოფებოდა.

თავის მხრივ, გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ „არავის შეუძლია, უთხრას საქართველოს პრეზიდენტს, იფიქროს ხუთი წუთი თუ მეტი, კანონით დაწესებულ ვადებში, ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც მის კომპეტენციაში შედის“.

„ცხრა წლის განმავლობაში არ მომწონდა წინა ხელისუფლება სწორედ იმიტომ, რომ მათ არ იცოდნენ, სად თავდება კანონი, სად იწყება ვალდებულებანი და სად მთავრდება ხელისუფლების გამიჯვნა... საქართველოს პრეზიდენტმა და მისმა აპარატმა ეს საკითხი გადაჭრა მაშინ, როდესაც სწორად მიიჩნიეს და მეტად ფრთხილად განიხილეს საკითხი, რომელიც არა მხოლოდ ქვეყნის საშინაო პოლიტიკური საკითხია. იმედი მაქვს, დღეს ყველასთვის ცხადია, რომ ეს საკითხი დაკავშირებულია საქართველოს საგარეო პოლიტიკასთან“, — განუცხადა მარგველაშვილმა ჟურნალისტებს ბაკურიანში, სადაც იგი (პროფესიონალი ფილოსოფოსი) მონაწილეობას ღებულობდა დისკუსიაში სტუდენტებთან თემაზე „ფრიდრიხ ნიცშეს „სიკეთისა და ბოროტების ზღვარს მიღმა“.

სააკაშვილის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები არაერთგზის აფრთხილებდნენ საქართველოს ხელისუფლებას იმის შესახებ, რომ ყოფილი ჩინოვნიკების სისხლის სამართლით დევნამ შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს საქართველოს ევროატლანტიკურ პერსპექტივებზე, ვინაიდან, როგორც „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ ამტკიცებენ, სასამართლო პროცესები მათი პარტიის წარმომადგენლებზე პოლიტიკურადაა მოტივირებული, რაც ზიანს მიაყენებს ქვეყნის იმიჯს უცხოეთში.

მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში კანონის წინაშე თანაბარია ყველა, მიუხედავად მათ მიერ დაკავებული თანამდებობისა. **„კიდევ ერთხელ მინდა, განვაცხადო, რომ საქართველოში დამთავრდა უსამართლობისა და დაუსჯელობის ეპოქა, პასუხი უნდა აგოს ყველამ და ნებისმიერი მოქალაქე თანასწორი იქნება კანონის წინაშე, იქნება იგი პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე თუ ნებისმიერი სხვა მოსამსახურე, მინისტრი ან ვინმე სხვა“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა.

Voice of America

საქართველოს ხელისუფლება გენერალურ შტაბს იყოფს

პრემიერს ბრალი დასდეს უმაღლესი მთავარსარდლის უფლებათა ხელყოფაში

საქართველოში აგორდა სკანდალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჟონილი ინფორმაციის გამო „თავდაცვის შესახებ“ კანონში მომავალი ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, რომელთა თანახმადაც გენერალური შტაბის უფროსს დანიშნავს პრემიერი და არა უმაღლესი მთავარსარდალი — პრეზიდენტი. მართალია, პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა პირადად უარყო ეს ინფორმაცია, ოპოზიცია მიიჩნევს, რომ გაჟონვა ადასტურებს ტენდენციას პრეზიდენტის უფლებამოსილებათა შემცირებისა და პრემიერის ხელისუფლების გაძლიერების შესახებ.

საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმაციით, „თავდაცვის შესახებ“ ახალი კანონის თავდაპირველი რედაქცია, რომელიც ამჟამად პარლამენტის კომიტეტებში განიხილება, პრემიერს ანიჭებდა უფლებას დანიშნოს გენერალური შტაბის უფროსი. მოქმედი კონსტიტუციის თანახმად კი, გენერალური შტაბის უფროსს ნიშნავს პრეზიდენტი პრემიერთან შეთანხმების შემდეგ და ანგარიშვალდებულია უმაღლესი მთავარსარდლის წინაშე. საქართველოს ყველა ტელეარხი თავიანთ პროგრამებს წორედ ამ ახალი ამბით იწყებდა.

მაგრამ პრემიერის კანცელარიამ იჩქარა უარეყო ეს სენსაციური ინფორმაცია. **„ცვლილებები კანონში არ ეხება პრეზიდენტის უფლებამოსილებებს, რომლებიც კონსტიტუციითაა დამტკიცებული“,** — დაგვარწმუნა პრემიერის საპარლამენტო მდივანმა შალვა თადუმაძემ. თავად მთავრობის ხელმძღვანელმა ბრალი დასდო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს „შეგნებულ სპეკულაციაში“ და სთხოვა ჟურნალისტებს, „შეწყვიტონ ვითარების დაძაბვა“.

სხვათა შორის, თავდაცვის მინისტრის მოადგილემ მიხეილ დარჩიაშვილმა განცხადებაში ამასთან დაკავშირებით გააკეთა რამდენადმე სხვაგვარი აქცენტი, განმარტა, რომ გენერალური შტაბის უფროსი „ახალი კანონის თანახმად, ძველებურად იქნება ანგარიშვალდებული მათ შორის პრეზიდენტის წინაშე“. ეს იყო აშკარა მითითება იმაზე, რომ პრემიერს გენერალური შტაბის კონტროლის ნაწილში ექნება, უკიდურეს შემთხვევაში, იგივე უფლება-მოსილებანი, რაც პრეზიდენტს. მით უმეტეს თავდაცვის მინისტრის დანიშვნა ან თანამდებობიდან გათავისუფლება მთლიანად მთავრობის ხელმძღვანელის კომპეტენციაა.

პარლამენტის წევრმა ოპოზიციური პარტიიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ სერგო რატიანმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ მას უკვე ჰქონდა ინფორმაცია მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ მცდელობის შესახებ — შეეტანა ასეთი ცვლილებები კანონში „თავდაცვის შესახებ“. მისი სიტყვებით, იგი „სავსებით ეწერება ტრენდში პრეზიდენტის უფლებამოსილებათა შემცირების შესახებ პრემიერის სასარგებლოდ“.

მართლაც, რამდენიმე თვის წინათ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ ფაქტობრივმა ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა საჯაროდ განაცხადა უკმაყოფილება პრეზიდენტთან დაკავშირებით, სახელმწიფოს მეთაურსა და პრემიერს შორის დაიწყო თითქმის აშკარა ბრძოლა უფლებამოსილებებისთვის. საქმე იქამდე მივიდა, რომ ძალოვანი ბლოკის ზოგიერთმა მინისტრმა საჯაროდ დაიწყო პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის კრიტიკა.

Коммерсантъ

დედამიწის ზურგზე

დროებითი ზავის დარღვევის შემდეგ ისრაელის მიმართულებით 50 რაკეტა გაუშვეს, ისრაელის თავდაცვის არმიამ დარტყმებით ღაზაში 30 მიზანზე უპასუხა

სროლების ქვეშ პალესტინელების მხრიდან აღმოჩნდნენ ისრაელის სამხრეთი და ცენტრი, აგრეთვე იერუსალიმის რაიონი. სამშაბათს ღამით ისრაელის თავდაცვის არმიის სამხედრო საჰაერო ძალებმა შეუტიეს ღაზის სექტორში დაახლოებით 30 მიზანს. პალესტინის წყაროები იტყობინებიან სამი დაღუპულისა და სულ ცოტა, 40 დაჭრილის შესახებ ისრაელის ავიადარტყმების შედეგად.

ხიროსიმას თავს დაატყდა თავსხმა და ზვავები: დაიღუპა სულ ცოტა 27 კაცი

ზვავები წამოვიდა ასაკიტისა და ასამინამის რაიონებში, სამის ნახევრიდან დილის ოთხ საათამდე 20 აგვისტოს, როდესაც მცხოვრებთა უმრავლესობას თავიანთ სახლებში ეძინათ. საგანგებო სიტუაციის გამო იაპონიის პრემიერ-მინისტრი სინძო აბე იძულებული იყო, შეეწყვიტა შვებულება და ტოკიოში დაბრუნებულიყო, რომ უხელმძღვანელოს სამაშველო სამუშაოებს.

ამერიკელმა სენატორმა მაკკეინმა, რუსეთის ანტაგონისტმა, შეასრულა რობოტის ცეკვა

კანონმდებელმა, რომელიც 77 წლისაა, გააოცა შეკრებილები საქველმოქმედო ღონისძიებაზე თეატრ „აპოლოს“ მხარდასაჭერად ნიუ-იორკის ჰარლემის რაიონში. ის დაახლოებით ნახევარი წუთის განმავლობაში ასრულებდა თავდავიწყებით პოპულარულ ახალგაზრდულ ცეკვას, რომელიც შეიცავს მკვეთრ, მექანიკურ მოძრაობებს, რომლებიც რობოტის გადაადგილებას გვაგონებენ.

ლიბერიაში ებოლის ციებ-ცხელების გამო შემოიღეს კომენდანტის საათი

მთავრობას განზრახული აქვს, გააკონტროლოს მოსახლეობის გადაადგილება დაავადების აფეთქების დროს. კომენდანტის საათი იმოქმედებს 21-დან 6 საათამდე ადგილობრივი დროით. ლიბერიაში ამჟამინდელი აფეთქების დროს 466 კაცი დაიღუპა, სულ აფრიკაში კი — 1229.

◎ როგორ ვცხოვრობდით?

ქვეყანა, რომელსაც არ გააჩნდა საემიგრაციო პოლიტიკა

საბაკაშვილის **რეჟიმი ყოველმხრივ ცდილობდა, თავისი შინა დანაშაულებრივი პოლიტიკა უცხოელებისთვის მოსაწონად მოეჩვენებინა. იქამდეც კი მივიდნენ, რომ საერთო კანონმდებლობებში დაუშვეს რამდენიმე ახალი მუხლი, რომლებიც აწესებდნენ სხვა ქვეყნის წარგზავნილთათვის სპეციალურ შეღავათებს. მაგრამ ისინი ამას მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების თვალში „დემოკრატიის შუქურის“ იმიჯის შესანარჩუნებლად ცდილობდნენ.**

მიგრაციის ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი გოგიშვილი აღნიშნავს, რომ ამ საკითხზე ქვეყანამ მუშაობა მხოლოდ გასული წლიდან დაიწყო, მანამდე კი, ცივილიზებული ქვეყნების საწინააღმდეგოდ, ვიდრე ისინი საემიგრაციო კანონებს ამკაცრებდნენ, საქართველოში საპირისპირო პოლიტიკა ტარდებოდა, რამაც ბუნებრივია, რომ არალეგალთა რაოდენობა სერიოზულად გაზარდა.

2013 წლამდე რეგულაციები თითქმის მინიმუმამდე იყო დაყვანილი, 123 ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა უვიზოდ ჰქონდა ნებადართული, ამან მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაყენა, რადგანაც არ არსებობდა შესაძლებლობა ამ ქაოტური პროცესის მართვისა.

გოგი გოგიშვილის განმარტებით, არალეგალებისა და ლეგალების გარჩევა ხდებოდა იმით, ჰქონდა თუ არა პიროვნებას შეხება შსს-სა და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებთან. თუმცა, აღნიშნავენ სპეციალისტები, რაც არ უნდა მომხდარიყო, უცხოელის დეპორტაცია არ ხდებოდა.

ქვეყნის საემიგრაციო პოლიტიკაზე საუბრისას, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის განცხადებით, არ შეიძლება ქვეყანას განსაკუთრებით ჩვენსავით ფეთქებად საშიშ რეგიონში, მიგრაციის პოლიტიკა არ გააჩნდეს.

შსს-ში აღნიშნავენ, რომ ისინი მხოლოდ არსებული კანონის ფარგლებში მოქმედებენ და თუ კანონმდებლობა შეიცვლება, მისი მიხედვით იმოქმედებენ. საგარეო საქმეთა სამინისტროში აკონკრეტებენ, რომ ამოქმედდება საემიგრაციო სამსახური, რომელიც პროცესს გააკონტროლებს. უკვე სრულდება უცხოელთა დროებითი განთავსების ცენტრის მშენებლობა, სადაც იმ კონტინგენტს განათავსებენ, ვინც სავიზო რეჟიმს დაარღვევს და ქვეყნიდან იძულებით გაძევებას დაექვემდებარება. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სექტემბრიდან უცხოელებს ქვეყანაში შემოსასვლელად დამატებითი დოკუმენტაციის და პროცედურების გავლა დასჭირდებათ. ზოგიერთ ქვეყანასთან, რომლებთანაც დღეს საქართველოს უვიზო მიმოსვლა აქვს, სავიზო რეჟიმის დაწესებაა გათვალისწინებული. მკაცრად განისაზღვრება საქართველოში ყოფნის ვადებიც, გამკაცრდება დეპორტაციის პროცესიც. მალე გახდება ცნობილი, ქვეყნები, რომელთაც კვლავ დაუბრუნდებათ, ან მიეცემათ პრივილეგიები საკუთარი მოქალაქეები უვიზოდ შემოიყვანენ ჩვენთან. გოგიშვილის აზრით, შეღავათები ძირითადად ევროკავშირისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების სახელმწიფოთა მოხელეებს შეეხებათ. მიგრაციის სამსახურში ასევე განმარტავენ, რომ კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც უცხო ქვეყნებს საქართველოში შემოსვლის უფლება ეძლევათ, ერთმანეთისგან განსხვავებულია, მაგალითად, როდესაც უცხოელი ჩვენთან სასწავლებლად შემოდის, ის უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მოთხოვნას, რომელსაც მას არჩეული უმაღლესი სასწავლებელი უყენებს. თუ ინსტიტუტში სწავლა ფასიანია, მას უნდა შეეძლოს სწავლის საფასურის გადახდა. ამას გარდა, უნდა გააჩნდეს აქ ცხოვრებისათვის საჭირო თანხა, ეს ევროსტრუქტურების მოთხოვნებია, რათა ახალი ქვეყნების დამატებით ევროპასთან მიერთებით, ბებერმა კონტინენტმა არ დაკარგოს კონტროლი სამუშაო ბაზარზე, ასკვნიან ექსპერტები. აცხადებენ, ამგვარი აღრიცხვიანობა, სერიოზულად წაადგება ქართულ ბაზარსაც.

ზაზა ბილიხოძე

◎ სამადლოგელი ჰერეთიდან

გულისხმიერებაც ამას ჰქვია

ძირძველი **ქართული მიწა ჰერეთი, დღევანდელი საინგილო, უკვე მრავალი ათეული წელია, მოწყვეტილია მშობლიურ ფესვებს და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიად ითვლება. ძალიან უჭირთ იქაურ ქართველებს სულიერადაც, ფიზიკურადაც, მორალურადაც და ეკონომიკურადაც. თუ ამ ყველაფერს ჯანმრთელობის პრობლემაც დაემატება, მით უფრო გაუსაძლისია ყოფა.**

2012 წლის დეკემბერში საინგილოდან ჩამოვიყვანეთ მძიმე ავადმყოფი გიორგი ბაჩალიაშვილი. მას ზურგის ტვინის სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროებოდა. ამ ოპერაციისთვის საჭირო სოლიდური თანხა კი ოჯახს არ გააჩნდა.

...დრო არ იცდიდა, ავადმყოფის ისედაც მწვავე მდგომარეობა უფრო და უფრო მძიმდებოდა. უფლის იმედით მივადექით წმ. მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიან კლინიკურ საავადმყოფოს. ყურადღებით მოგვისმინა კლინიკის აღმასრულებელმა დირექტორმა ბატონმა ბეჟან მაისურაძემ და მოხდა სასწაული — გიორგი საოპერაციოდ მოამზადეს.

ჰერეთის ქართველი ქრისტიანების სახელით უდიდეს მადლობას ვუხდით ქირურგებს: გოჩა ჩუთკერაშვილს, ზურა ნარიმანიძეს და იურისტ ნინო ენდელაძეს. მათმა გულისხმიერებამ და საქმის ცოდნამ, პაციენტების სიყვარულმა და ექიმის წმიდათაწმიდა მოვალეობის შესრულებისადმი პასუხისმგებლობამ ჩემს ახლობელს სიცოცხლე შეუნარჩუნა და ის ახლა რეაბილიტაციის კურსს გადის.

ღმერთმა დალოცოს ამ კეთილი ადამიანების მარჯვენა.

ამრავლოს მათი მსგავსები და მათსავე ოჯახებს შეეწიოს მათ მიერ გაკეთებული სიკეთეების მადლი. ამინ!..

მადლიერების დიდი გრძნობით და პატივისცემით,

ჰერეთის სახელით,

დეკანოზი მოსე (ოთარაშვილი) — ჰერელი.

◎ ალპინისტებმა ხომ არ გადაღეხეს?

მოსკოვში უკრაინის დროშა და ვარსკვლავი...

მოსკოვში **უცნობმა პირებმა კოტელნიკის სანაპიროზე, ე.წ. სტალინის მრავალსართულიანი სახლის სახურავზე აღმართული ვარსკვლავი უკრაინის დროშის ფერებში გადაღებეს.**

რუსული მედიის ინფორმაციით, იქვე გამოფინეს უკრაინის დროშაც.

„ამის შესახებ მოსახლეობამ პოლიციას აცნობა. ამჟამად ადგილზე მუშაობს პოლიცია და საგანგებო სიტუაციათა სამსახური. შენობაში არავის უშვებენ“, —იტყობინება რუსული მედია.

ვარსკვლავი 176 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. სახლი მოსკოვში ელიტარული საცხოვრებელი სახლების კატეგორიას განეკუთვნება და მას პერსონალური დაცვა იცავს. უცნობია, თუ როგორ შეაღწიეს მასში იმ პირებმა, რომლებმაც ვარსკვლავი გადაღებეს.

ამჟამად პოლიცია ალპინისტებს ამოწმებს, რადგან ვარაუდობენ, რომ პროფესიონალების გარეშე ვარსკვლავის გადაღებვა შეუძლებელი იქნებოდა.

◎ კაკალ გულში

ნაცებს კაზანტიპის რესპუბლიკაც არ აძლევს თავშესაფარს...

წერტილ-ტვალი ფურცლები

● **ქვეყნის ხელისუფლება ხართ თუ ძონძების ფუთა? სულ გამოკაზანტიპდით, მაგას როგორ აბედინებთ, ხვალე ტრუსებს გამოგიგზავნით იცოდეთ და ღირსებიც იქნებით, ფუი . . .**

● **ნინო კობახიძეს რაღაცის მინისტრად ამზადებენ (1. განათლების 2. ჯანდაცვის). ვისაც გინდათ დაგენიძლავებით!**

● **ნაცები ისეთი პედერასტები არიან, რომ კაზანტიპის რესპუბლიკაც არ აძლევს თავშესაფარს...**

● **ახლა, ერთგან, „უგულავა“ უნდა დამეწერა.**

თითი მეზობელ კლავიშზე დამეჭირა და „უფულავა“ ქე არ გამოვიდა?

ფუი, ფუი, თვალი არ ეცეს!

● **უსუფაშვილს ბარამიძე კუბდარის საჭმელად ჰყავს წაყვანილი პარაგვაიში?!**

● **რიჩარდ... საქართველოში ლომგულ ნორლანდს, რატომ ასწრებენ უშიშროების საბჭოს სხდომებს? — იქნებ შპიონია!**

● **პრეზიდენტმა ბრიფინგი დაასრულა და ვალიკო თუ სართ აქ ვინმე, იქნებ მითხრათ, რა უნდოდა?**

● **რაც ერი ის წვიმაო, ნათქვამია!**

● **წელან კანცელარიასთან გავიარე და ბანერი იყო გამოკრული — მეორადი ტანსაცმელი ევროპიდან...**

● **თბილისს წვეთების არ სჯერა!**

● **ლანა ღვინჯილია ბიბლიოთეკაში მუშაობს თუ სამრეცხაოში?**

● **ამ კაზანტიპს რომ ასე აპროტესტებენ მღვდლები, უნდა შევახსენო, რომ დღე და ღამე მათი მრევლის ბინებიდან „ალაჰ აკბარ“ ისმის და...**

● **ერთხელ დავწერე და კიდე ვიმეორებ: ჰოროსკოპების უფრო მეტად მჯერა, ვიდრე ქართველი სინოპტიკოსების.**

● **კოჟორიძემ, გიგაურმა, ლომჯარიამ და ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ დღეს რა რიცხვიაო?**

● **თავისუფლება ლომთა ხვედრიაო ვმღერივართ და 2 ლომია, მგონი, სულ საქართველოში და ორივე ზოოპარკში ზის.**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ალიანჩალიანი

ზესტაფონსა და ბაღდათში გზების რეაბილიტაციის მონიტორინგი განხორციელდა

საავტომობილო **გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვაჟა ფანჩულიძემ, საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა ავთანდილ გვაზავამ და იმერეთში საქართველოს სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის პირველმა მოადგილემ ალეკო იოსებაშვილმა ზესტაფონსა და ბაღდათში საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს.**

დეპარტამენტის ინფორმაციით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა საქარა-საზანოს მოსახლეობას გადაადგილების პრობლემა წლების განმავლობაში ჰქონდა.

— არსებულ საავტომობილო გზაზე არასდროს ყოფილა ასფალტის საფარი, 10-ზე მეტი სოფლის მოსახლე ხრეშოვანი გზის საშუალებით გადაადგილდებოდა, რაც სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას აფერხებდა. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ქვედა საქარა-საზანოს საავტომობილო გზის რეაბილიტაციას ახორციელებს, რის შედეგადაც ქვედა საქარა-საზანოს გზაზე გადაადგილება უსაფრთხო და კომფორტული გახდება, შემცირდება მგზავრობის დრო და ხარჯები. 6 მლნ 500 ათასი ლირებულების სამუშაოები მოიცავს 13.4 კმ მონაკვეთის და 24-მეტრიანი ხიდის რეაბილიტაციას, — აცხადებენ საავტომობილო გზების დეპარტამენტში.

მათივე ინფორმაციით, სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დასაქმებულია 150-მდე ადამიანი, რომელთა 50% ადგილობრივი მოსახლეა. პროექტის განხორციელება 2013 წლის სექტემბერში დაიწყო და მიმდინარე წლის შემოდგომაზე დასრულდება.

„საავტომობილო გზების დეპარტამენტი ბაღდათის მუნიციპალიტეტში 4 მილიონი ლირებულების პროექტს ახორციელებს. ზესტაფონი-ბაღდათის საავტომობილო გზა რამდენიმე ათწლეულია არ შეკეთებულა, სავალი ნაწილი იყო სრულად ამორტიზებული. 8.5 კმ საავტომობილო გზის რეაბილიტაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მიწის ვაკისისა და ქვაბულის დამუშავება, ეზოებში შესასვლელებზე მილების ჩაწყობის სამუშაოები. ზესტაფონი-ბაღდათის საავტომობილო გზის მთლიანი სიგრძე 21 კმ—ს შეადგენს, აქედან 5 კმ გზის შეკეთება უკვე დამთავრდა, 8.5კმ-ის რეაბილიტაცია კი წლის ბოლოს დასრულდება“, — განმარტავენ უწყებაში.

ინტერპრესი

ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	1.ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია: ა) სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის დამტკიცებამდე ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსაგან (შემდგომში - უფლებამოსილი ორგანო) ეტაპობრივად, თითოეული კვარტალის მიხედვით, ჩაბაროს ტერიტორია მიღება-ჩაბარების აქტით. ლიცენზიატი და უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენლები ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიაზე ერთობლივად აღრიცხავენ უკანონო ჭრებს და სხვა დარღვევა-ხაკლოვანებებს, რაც შესაბამისად აისახება მიღება-ჩაბარების აქტში. მიღება-ჩაბარების განხორციელების წესსა და ფორმას ანტაცენს მინისტრი ბრძანებით „ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზიით, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით ან სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით განსაზღვრული ფართობის მიღება-ჩაბარების განხორციელების წესისა და ფორმის შესახებ"; ბ) განახორციელოს ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვა; ბ.ა) დაიცვას ლიცენზიით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია უკანონო ნადირობისა და ტყით სარგებლობისაგან; ბ.ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღკვეთოს და შესაბამის ორგანოებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე უნებართვო საქმიანობისა და სამართალდარღვევის ფაქტების შესახებ; ბ.გ) შეიმუშაოს ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვის მექანიზმები და შესაბამისი ინფორმაცია წარადგინოს უფლებამოსილ ორგანოში ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღისა. აღნიშნული დაცვის მექანიზმები შემდგომში ხდება სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის განუყოფელი ნაწილი და მასში ცვლილებების მეტანა შესაძლებელია ტერიტორიის მიღება-ჩაბარების დასრულებისას. სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის დამტკიცებისას (განახლებისას) და/ან კანონმდებლობით გათვალისწინებული შემოწმების შედეგების შესაბამისად უკანონო ქმედებათა გაზრდილი შემთხვევებისა და სხვა ახალი გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე; გ) ლიცენზიის აღებიდან არა უგვიანეს 12 თვისა უფლებამოსილ ორგანოში წარადგინოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შედგენილი სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმა; დ) უზრუნველყოს დამტკიცებული სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება; ე) ყოველწლიურად უფლებამოსილ ორგანოში წარადგინოს ცხოველთა სამყაროს ობიექტების ინვენტარიზაციის მასალები, მათ შორის. ცხოველთა სამყაროს მოპოვებული ობიექტების აღრიცხვის მასალები, რომელთა განხილვის შემდეგ უფლებამოსილი ორგანო
		დადგენილი წესით ადგენს ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის კვოტას. ვ) დაიცვას დადგენილი წესები, კვოტები და ვადები; ზ) უზრუნველყოს სამონადირეო მეურნეობის ფარგლებში ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირებული, ბუნებრივად არსებული გარეული ცხოველების დაცვა და შენარჩუნება. არ დაუშვას გარეული ცხოველების სახეობრივი გარეობის დარღვევა ან გაუარესება; ზ.ა) უზრუნველყოს ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა, ხოლო ხანძრის საფრთხის შემთხვევაში მიიღოს ზომები მის ადგილზე ადგილზე და საფრთხის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სათანადო ორგანოებს; ი) დაუყოვნებლივ შეწყვიტოს გარეული ცხოველებით სარგებლობა მათი მდგომარეობისა და სახეობრივი პირობების გაუარესებისა და გარეულ ცხოველთა განადგურების სახეობრივების წარმოქმნის შემთხვევაში, რის შესახებაც უნდა აცნობოს უფლებამოსილ ორგანოს; მიიღოს ზომები გარეულ ცხოველებსა და მათ საბინადრო გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის ასაცილებლად; კ) ლიცენზიის ნაწილის გასხვისებისას ლიცენზიის გასახსენებელი ნაწილით განსაზღვრული ტერიტორია არ უნდა იწვევდეს ტყის მასივის (ეკოსისტემის) დანაწევრებას და არ უნდა არღვევდეს სატყეო კვარტლების სახღვრებს; ლ) ლიცენზიის ან ლიცენზიის ნაწილის გასხვისებისას ლიცენზიის გამსხვისებელმა და ლიცენზიის მიმმენმა უნდა მოახდინონ შესაბამისი ფართობის გადაბარება მიღება-ჩაბარების აქტით. ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის გადაბარებამდე ლიცენზიის გამსხვისებელმა უფლებამოსილ ორგანოს უნდა წარუდგინოს ანგარიში გაწეული სამუშაოების შესახებ. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ლიცენზიის გამსხვისებელს; მ) ლიცენზიის ნაწილის გასხვისების შემთხვევაში ლიცენზიატები დასამტკიცებლად წარადგენენ ახალ სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმას (გეგმებს); ნ) უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნების დაცვა და შექმნას მისი მდგრადი გამოყენების პირობები: ნ.ა) დაიცვას ბიომრავალფეროვნება ხაქმიანობის შედეგად გამოწვეული დაბინძურებისაგან; ნ.ბ) არ დაუშვას უცხო (ინვაზიური) სახეობებისა და გენეტიკურად მოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების გავრცელება და/ან გამოყენება ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე საქმიანობის დროს; ნ.გ) საქმიანობამ არ უნდა გამოიწვიოს ეკოსისტემის ფრაგმენტაცია. ტყეების ბუნებრივი იერსახის ცვლილება. სახეობრივი მრავალფეროვნების გაღარიბება; ნ.დ) არ დაუშვას გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს. გამრავლების არეალების. გადარჩენის სტაციების. ხამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების გაუარესება; ო) უზრუნველყოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული იშვიათი, საფრთხის ქვეშ და გადაშენების პირას მყოფი, საქართველოს „წითელ წიგნში" შეტანილი ენდემური და რელიქტური სახეობებისა და მათი საბინადრო გარემოს დაცვის ღონისძიებები; პ) უზრუნველყოს მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვა. მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების მდგრადი მართვისა და დაცვის გზით უნდა შეინარჩუნდეს ან
		გაუმჯობესდეს აღნიშნული ტყეებისათვის ძირითადი მახასიათებლები. ლიცენზიატის მიერ უნდა იყოს დოკუმენტირებული, თუ როგორ ხდება მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვის უზრუნველყოფა; ჟ) განახორციელოს ტყის მოვლის, მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვის ღონისძიებები, რომელთა უზრუნველსაყოფადაც განახორციელოს მუდმივი მონიტორინგი. მავნებელ-დაავადებების მასობრივად გავრცელების შემთხვევაში ინფორმაცია ოპერატიულად მიაწოდოს უფლებამოსილ ორგანოს; რ) მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებისას ლიცენზიატი ვალდებულია დაასაბუთოს მათი გამოყენების აუცილებლობა და უფლებამოსილ ორგანოში შესათანხმებლად წარადგინოს დასახული ღონისძიებების გეგმა. მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების გამოყენება უნდა იყოს დასაბუთებული და დოკუ-მენტირებული; ს) პესტიციდების ნარჩენები არ შეიძლება განთავსებულ იქნეს სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე; ტ) ხელი არ შეუშალოს მოსახლეობის (სამასალე და საშეშე მერქნის გარდა), უსასყიდლოდ მოაგროვოს ხილ-კენკროვნები, თხილი, სოკო, სამკურნალო მცენარეები და ტყის სხვა პროდუქტები (გარდა „წითელ წიგნში" შეტანილი სახეობებისა), ასევე ტურისტულ რეკრეაციული მიზნებისათვის მოსახლეობის ყოფნას ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე და სხვა ტრადიციული ღონისძიებების განხორციელებას; უ) ისტორიული, რელიგიური და კულტურული ობიექტების გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და უფლებამოსილ ორგანოს და უზრუნველყოს სატყეო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მათი დაზიანებისაგან დაცვა; ფ) ხელი არ შეუშალოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელებას; ქ) ხელი არ შეუშალოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტების (მაგისტრალური გაზსადენი, მაღალი ძაბვის გადამცემი ანძები და სხვ.) განხორციელებასა და ფუნქციონირებას; ღ) ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვის ან დადგენილ ვადამდე ლიცენზიის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ლიცენზიით სარგებლობაში გადაცემული ტერიტორია მიღება-ჩაბარების აქტით უბრუნდება ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოს პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული პროცედურებით; ყ) ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ხელი არ შეუშალოს მესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს სათბობ მეშეზე ადგილობრივი მოსახლეობისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით სოციალური ჭრის ტყეკაფების გამოყოფასა და ამ ტყეკაფებზე ხე-ტყის დამზადება-გაცემაში; შ) ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ხელი არ შეუშალოს მესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს მიწაზე დაფრილი მოთხრილი, მოტეხილი, ქარტეხილი ხე-ტყის ადგილობრივ მოსახლეობაზე გაცემაში. 2. ლიცენზიის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს: საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოწყობა, კერძოდ: ა) ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა და მოწყობა; ბ) წყლის, ელექტროენერგიის და საკანალიზაციო სისტემა;
		გ) შიდა საავტომობილო გზის და ავტოსადგომის მოწყობა; დ) სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურა; სამონადირეო მეურნეობის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოწყობა, კერძოდ: ა) ფერმერული მეურნეობები (ნადირ-ფრინველების სამენები); ბ) სათვალთვალო კოშკები; გ) საცხენსნისნი და საფეხმავლო ბილიკები; დ) ინკუბატორები; ე) სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. 3.სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მფლობელი, ზემოაღნიშნული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-მოწყობის მიზნით, ლიცენზიის მოპოვებიდან სამი წლის განმავლობაში, ვალდებული იქნება განახორციელოს მინიმუმ 1 505 000 ლარის ოდენობის თანხის ინვესტირება, კერძოდ, ლიცენზიის მოპოვებიდან პირველი წლის განმავლობაში 470 000 ლარის, მეორე წელს 460 000 ლარის, ხოლო მესამე წელს 575 000 ლარის ოდენობის თანხის ინვესტირება.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს კახეთის სატყეო სამსახურის გურჯაანის სატყეო უბნის ლელის სატყეოში სახელმწიფო ტყის ფონდის 669,852 ha ფართობზე მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი და შესაბამისი ფართობებია: 1)54.19.51.003-67873ა, 2)57.34.51.002-450683ა, 3)57.04.61.054-78563ა, 4)57.04.56.069-9873ა, 5)54.19.51.001-673463ა, 6)54.19.51.002-7133ა, 7)51.10.53.058-219153ა, 8)51.08.52.134-142623ა, 9)51.24.51.081-80653ა, 10)51.24.51.080-70993ა, 11)51.10.53.057-44823ა, 12)51.07.53.073-34773ა, 13)51.10.52.056-30633ა, 14)51.07.53.072-21833ა, 15)51.10.52.055-12163ა, 16)51.07.53.071-5543ა, 17)51.10.52.054-8869543ა, 18)51.24.51.079-5228723ა, 19)51.10.53.056-2155903ა, 20)51.07.53.070-242983ა, 21)51.24.51.078-48528243ა.
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს კახეთის სატყეო სამსახურის გურჯაანის სატყეო უბნის ლელის სატყეო
8	აუქციონის საწყისი ფასი	6 699 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	669,9 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	1 540 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 21 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 22 სექტემბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 22 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 22 სექტემბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო საქართველოსა და საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში

ამჯერად, ჩვენი რუბრიკის ყველაზე მეტი მკითხველი ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების საკითხებითაა დაინტერესებული. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან 2014 წლის 1 იანვრიდან კანონში ამ მიმართებით მთელი რიგი სასიკეთო ცვლილებები შევიდა.

შეკითხვის ავტორებს უნდათ იცოდნენ: მიმდინარე წლის დასაწყისიდან რამდენი დღით განისაზღვრება შვილის შეძენასთან დაკავშირებით ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა; არის თუ არა შეტანილი ცვლილებები ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში ფასიანი და უხელფასო შვებულებით სარგებლობის წესში; გაიზარდა თუ არა შვილის შეძენის შემთხვევაში გასაცემი დახმარების ოდენობა; საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით როგორ არის მოწესრიგებული ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების გამოყენების საკითხი და სხვა.

ვასრულებთ მათ თხოვნას და განვმარტავთ, რომ 2013 წლის 27 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა №1393 კანონით ცვლილებები შეიტანა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო აღნიშნულ დრომდე მოქმედ კანონში, რომელიც ძალაში შევიდა მიმდინარე წლის 1 იანვრიდან. შესაბამისად, 2013 წლის 11 დეკემბრიდან ცვლილებები იქნა შეტანილი „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/ნ ბრძანებაში. ზემოაღნიშნული წესის მე-5 მუხლის შესაბამისად, „დახმარება გაიცემა სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ, მაგრამ არა უმეტეს 1000 ლარისა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო კომპენსაცია – შესაბამისი დაწესებულების მიერ, მისთვის შესაბამისი ბიუჯეტიდან კანონით გამოყოფილი ასიგნებიდან.“

დასაქმებულს/მოსამსახურეს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო – 730 კალენდარული დღის ოდენობით (ნაცვლად 2014 წლამდე დაწესებული 477 კალენდარული დღისა), რომელთაგან ანაზღაურებადია 183 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – ანაზღაურებადია 200 კალენდარული დღე (იყო – 140 კალენდარული დღე).

კითხვა: შეუძლია თუ არა დასაქმებულს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება გადაანაწილოს ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდებზე?

პასუხი: მოქმედი კანონის თანახმად, დასაქმებულს აქვს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების თავისი შეხედულებისამებრ ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდებზე გადანაწილების უფლება. ასე რომ, მას შეუძლია გადანაწილების პროპორცია შეცვალოს ისე, როგორც მისთვის იქნება მოსახერხებელი.

2014 წლის 1 იანვრიდან გათვალისწინებული სიახლე შეეხო იმ ოჯახებსაც, რომლებმაც იშვილეს ერთ წლამდე ასაკის ბავშვი. უფრო კონკრეტულად: თუ ამ დრომდე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ხანგრძლივობა განისაზღვრებოდა 365 დღით, საიდანაც ანაზღაურებადი იყო 70 კალენდარული დღე, 1 იანვრიდან დასაქმებულს/მოსამსახურეს, რომელმაც იშვილა ერთ წლამდე ასაკის ბავშვი, თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო ბავშვის დაბადებიდან 550 კალენდარული დღის ოდენობით, საიდანაც ანაზღაურებადია 90 კალენდარული დღე.

როგორც საქართველოს ორგანული კანონით – შრომის კოდექსით, ისე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, მოცემული ტიპის შვებულებების ანაზღაურება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მაგრამ საყურადღებოა ის, რომ შრომის კოდექსი მიუთითებს იმაზე, რომ მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ დამატებითი ანაზღაურების შესახებაც.

საქართველოში არსებული ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, დამსაქმებლები, რომელთაც სათანადო ფინანსური შესაძლებლობა გააჩნიათ, მორალურად ვალდებულნი არიან მატერიალურად შეუწყონ ხელი საქართველოს ქალებს, რათა მათ არ ჰქონდეთ ფინანსური სიდუხჭირის შიში, რომ გაზარდონ საკუთარი ოჯახისა და, შესაბამისად, ქვეყნის მოსახლეობის რიცხვი. როგორც სახელმწიფომ, ისე მეწარმეებმა უნდა იზრუნონ, რაც შეიძლება მეტად წაახალისონ დემოგრაფიული სიტუაციის გამოსწორება. დამაფიქრებელია, რომ თუ 20-30 წლის წინათ საქართველო სამხრეთ კავკასიაში მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე მეტი იყო, ამჟამად დიდად გაგვისწრო აზერბაიჯანმა და სომხეთიც მალე გაგვისწრებს, თუ შობადობის დღევანდელი რიცხვი არ გაიზრდება.

კითხვა: გთხოვთ, გვაცნობოთ, არსებობს თუ არა მკვეთრი განსხვავება საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობასთან დაკავშირებით. უფრო კონკრეტულად: არის თუ არა მსოფლიოში ისეთი ქვეყნები, რომლებშიც დაწესებული არ არის ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებების გაცემა? როგორია საზღვარგარეთის ქვეყნებში (განსაკუთრებით – ევროპის ქვეყნები) აღნიშნული შვებულების ანაზღაურების მექანიზმი, არის თუ არა ისეთი ქვეყნები, სადაც დეკრეტული შვებულებით სარგებლობის უფლება ეძლევა ახალშობილის მამასაც, დედის შვებულებისგან დამოუკიდებლად?

პასუხი: ანაზღაურებადი შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო, ე. წ. ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება, დაწესებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, ავსტრალიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და პაპუა ახალი გვინეის გარდა. აშშ-ში დედას ან მამას უფლება აქვს ისარგებლოს უხელფასო დეკრეტული შვებულებით 84 დღის განმავლობაში, ავსტრალიაში – 1-წლიანით, ხოლო პაპუა ახალ გვინეაში – 42-დღიანი უხელფასო შვებულება ეკუთვნის მხოლოდ დედას.

ევროპის ქვეყნებიდან შვებულება ყველაზე ხანგრძლივია შვედეთში – 16 თვე (480 დღე), დანიაში – 420 დღე, ნორვეგიაში – 378 დღე, გაერთიანებულს სამეფოში – 273 დღე.

შვებულების ხანგრძლივობა, როგორც წესი, იზრდება გართულებული მშობიარობის ან ტყუპების დაბადების შემთხვევაში. მაგალითად, ბელორუსიაში, ესტონეთსა და ლატვიაში შვებულების ხანგრძლივობას ემატება 14 დღე, რუსეთში – 38 დღე, გერმანიაში – 28 დღე, ხოლო ესპანეთსა და შვედეთში, შესაბამისად, 14 დღე და 6 თვე თითოეულ ტყუპისცალზე. დეკრეტული შვებულება იზრდება ასევე იმის მიხედვით, თუ მერამდენე შვილია ახალშობილი. საფრანგეთში მესამე ბავშვზე დეკრეტულ შვებულებას ემატება 70 დღე, ბულგარეთში პირველ შვილზე გათვალისწინებულია 120 დღე, მეორეზე – 150, მესამეზე – 180, მეოთხეზე კი – ისევ 120 დღე.

ზოგ ქვეყანაში სავალდებულოა, რომ ქალმა შვებულებისთვის გამოყოფილი დროის ნაწილი გამოიყენოს მშობიარობამდე (ავსტრია, დანია, გერმანია, იტალია, ნორვეგია, გაერთიანებული სამეფო), ზოგან კი დასაშვებია, გაანაწილოს შეხედულებისამებრ.

დეკრეტულ შვებულებაში მყოფ ქალს უფლება აქვს დროებით გადავიდეს ნახევარ განაკვეთზე (გერმანია, ფინეთი, პორტუგალია).

შვებულების ანაზღაურების მექანიზმი ქვეყნების მიხედვით სხვადასხვაგვარია: შვედეთში ნაწილს ანაზღაურებს დამქირავებელი, ნაწილს – სახელმწიფო, გერმანიაში აუცილებელია კერძო სადაზღვევო პოლისი, რომელიც ანაზღაურებს ფასიანი შვებულების ნაწილს, მეორე ნაწილს ანაზღაურებს დამქირავებელი, დანიაში ანაზღაურებას გასცემს მუნიციპალიტეტი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. უმეტეს ქვეყნებში (ავსტრია, ბელორუსი, ისრაელი, კანადა, ნორვეგია, პორტუგალია ფინეთი და ა. შ.) დეკრეტული შვებულების ანაზღაურებას იღებენ ჯანდაცვის, დასაქმების ან სოციალური დაზღვევის ფონდებიდან.

ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით სარგებლობის უფლება ეძლევა ახალშობილის მამასაც, დედის შვებულებისგან დამოუკიდებლად (შვედეთი – 10 დღე, ნორვეგია – 54 დღე, ესტონეთი – 14 დღე, დანია – 14 დღე, ფინეთი 18 დღე, საფრანგეთი – 14 დღე, იტალია – 91 დღე, ნიდერლანდები – 2 დღე, პორტუგალია – 5 დღე, ესპანეთი – 15 დღე, გაერთიანებული სამეფო – 14 დღე). დაშვებულია ასევე დედისთვის განკუთვნილი შვებულება გაიყოს მშობლებს შორის (ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ფინეთი, ისლანდია, ნორვეგია, შვედეთი).

აღსანიშნავია, რომ ამგვარი პრეცედენტი პირველად 1974 წელს შვედეთის კანონმდებლობაში დაფიქსირდა. როგორც ამ ქვეყანაში დაფიქსირებული სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს, დღესდღეობით სულ უფრო მეტი მამაკაცი იყენებს ამ უფლებას; სპეციალისტების აზრით, ამგვარი პრაქტიკა ხელს უწყობს როგორც შობადობის ზრდას (მეორე ბავშვი, უმეტესად, ისეთ ოჯახებში იბადება, სადაც მამაც სარგებლობს დეკრეტული შვებულებით), ასევე განქორწინებათა 1/3-ით შემცირებას.

კითხვა: იქნებ დაგვისახელოთ რამდენიმე ქვეყანა, სადაც ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების დამთავრების შემდეგ ქალს (ან ბავშვის მამას) ეძლევა უხელფასო შვებულება და ისიც გაგვაგებინოთ, როგორი წესითა და რა ხანგრძლივობით გაიცემა იგი?

პასუხი: ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების დამთავრების შემდეგ ქალს, ზოგიერთ ქვეყანაში კი ახალშობილის მამასაც, აქვს უფლება მოითხოვოს უხელფასო შვებულება, ე. ი. შვებულება გაიყოს მშობლებს შორის. ასე ხდება, მაგალითად, გერმანიაში, სადაც უხელფასო შვებულების ხანგრძლივობა 3 წელია, საფრანგეთში – 2 წელი, იტალიაში – 6 თვე, თუ ორივე მშობელი ისარგებლებს – სულ 10 თვე.

ნორვეგიაში 14-დღიანი უხელფასო შვებულება ეკუთვნის მხოლოდ მამას (დამქირავებელთა უმეტესობა ამ შვებულებას, როგორც წესი, ანაზღაურებს).

უხელფასო შვებულება ბავშვის მოვლისთვის ეძლევა მხოლოდ დედას 3 წლის ხანგრძლივობით ესტონეთში, ფინეთში, საფრანგეთში.

კითხვა: თუ თქვენთვის ცნობილია, გთხოვთ, განგვიმარტოთ, როგორ არის მოწესრიგებული ორსულობისა და მშობიარობის გამო დეკრეტული შვებულების ანაზღაურების საკითხი საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთათვის?

პასუხი: საერთაშორისო ორგანიზაციები არ შეიძლება ექვემდებარებოდეს რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობას; შესაბამისად, იქ დასაქმებულ პირთათვის მოქმედებს შიდა საკანონმდებლო ნორმები, რომელთა თანახმადაც, ორსულობისა და მშობიარობის შემთხვევაში ქალს ეკუთვნის 112-დღიანი სრულად ანაზღაურებადი შვებულება. აქედან, არანაკლებ 70 დღე ეძლევა მშობიარობამდე.

ახალშობილის მამას ეძლევა 28-დღიანი შვებულება ასევე სრული ანაზღაურების შენარჩუნებით (მათ, ვისაც უხდებათ მუშაობა ისეთ ადგილას, სადაც არ აქვთ ოჯახთან ერთად ცხოვრების უფლება, შვებულება უხანგრძლივდებათ კიდევ 28 დღით – სულ 56 დღე).

დეკრეტულ შვებულებაში ყოფნის დროს, სამსახურიდან დათხოვნა დაუშვებელია. გარდა ამისა, თუ დასაქმების კონტრაქტის ვადა დეკრეტულ შვებულებაზე ადრე ამოიწურება, კონტრაქტი ავტომატურად უნდა გაგრძელდეს შვებულების დასრულებამდე.

დღეს აქ შევწყვეტთ ჩვენს პატივცემულ მკითხველთან საუბარს, ვინაიდან მათ მიერ დასმულ ყველა შეკითხვას ვუპასუხეთ და სტატიას შემდეგი სიტყვებით დავასრულებთ: გარემოში მიმდინარე ნებისმიერ პროცესზე პირველ რიგში რეაგირებს საზოგადოების ყველაზე სათუთი ფენა – ქალები და ბავშვები. სწორედ ამიტომ, მსოფლიოში ცნობილ ჟურნალებში ქვეყნის დახასიათება იწყება შიდა ეროვნული პროდუქტიდან, შემდეგ კი დედათა და ბავშვთა მდგომარეობის ამსახველი პარამეტრები მოდის. არსებობს ფრთიანი გამოთქმა: თუ გინდათ იმსჯელოთ ქვეყნის მდგომარეობაზე, შეხედეთ ამ ქვეყნის ქალებსა და ბავშვებს...

ირინა ღლონტი

◎ ალიანჩალიანი

პასასრულწლოვნებზე ნებისმიერი მედიკამენტის გაცემა იკრძალება

როგორც საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ დიმიტრი ხუნდაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, შესაბამისი ცვლილება „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონში გასული წლის ზაფხულში შევიდა და პირველი სექტემბრიდან ამოქმედდება.

მისივე თქმით, 18 წლამდე მოზარდები მედიკამენტების შეძენას რეცეპტის წარდგენის შემთხვევაშიც კი ვერ შეძლებენ და მათზე ნებისმიერი ჯგუფის პრეპარატის გაცემა იკრძალება. მედიკამენტები ზრდასრულმა ადამიანმა უნდა შეიძინოს.

– ძალიან ხშირად ახალგაზრდები არამიზნობრივად იყენებენ პრეპარატებს. ზოგჯერ ხდება იმ პრეპარატების გამოყენება, რომლის დოზირებით მიღება საფრთხეს არ წარმოადგენს. ზედოზირება კი იწვევს ნარკოტიკულ თრობას, – განმარტა დიმიტრი ხუნდაძემ.

მისივე თქმით, როდესაც ფარმაცევტი ეჭვს შეიტანს, რომ, შესაძლოა, პირი არასრულწლოვანი იყოს, მას აქვს უფლება პირადობის მოწმობა მოითხოვოს. რეგულაციის დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი საჯარიმო სანქცია 500 ლარის ოდენობით, კანონდამრღვევს დაეკისრება.

ინტერპრესი

◎ ტაეკვანდო

ორი მედალი დანიიდან

ამ დღეებში დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში გაიმართა მე-16 ღია საერთაშორისო ტურნირი, სადაც საქართველოს ღირსებას 21-წლამდეთა ნაკრების ორი სპორტსმენი — თეონა ვაშაყმაძე (ბათუმი) და მერაბ შუკაკიძე (თბილისი) იცავდა. გუნდს ხელმძღვანელობდა დავით ბუხრაძე.

აღნიშნულ ტურნირზე საქართველოს ნაკრების გარდა 11 ქვეყნის 35 გუნდმა იასპარეზა: დანია, ნორვეგია, ავსტრია, ბელგია, ისლანდია, შოტლანდია, შვედეთი, შვეიცარია, ირლანდია, ფინეთი და ესტონეთი.

მერაბ შუკაკიძე (63 კგ) მეორე წრიდან ჩაერთო ორთაბრძოლებში. 1/4-ფინალში ნორვეგიის ჩემპიონს და 21-წლამდელთა ნაკრების წევრს დაძაბულ ორთაბრძოლაში სძლია 17:9, ნახევარფინალში კი დანიის წარმომადგენელი დაამარცხა — 16:1. ფინალში მერაბმა დანიის ჩემპიონთან მსაჯების საეჭვო გადაწყვეტილებით წააგო — 6:8.

თეონა ვაშაყმაძეს (62 კგ) პირველი წრის გამოტოვება მოუწია და 1/4-ფინალიდან ჩაერთო ტურნირში, თუმცა მისი მეტოქე ტრავმის გამო ვერ გამოცხადდა. აქედან გამომდინარე ის ნახევარფინალში ავტომატურად მოხვდა, იქ მოწინააღმდეგე 16:8 დაამარცხა, ფინალში კი ნორვეგიის წარმომადგენელს დრამატულ ბრძოლაში სძლია 6:5.

ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით თეონა ვაშაყმაძე ტურნირის საუკეთესო სპორტსმენ გოგონად დასახელდა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ რაგბი

სეზონის კონტურები

ევროპული პროფესიული საკლუბო რაგბის ორგანიზაციამ — EPC რაგბიმ (European Professional Club Rugby) გამოაქვეყნა წლევანდელი ჩელენჯ ქაფის (European Rugby Challenge Cup 2014-15) ფინალური ეტაპის საკვალიფიკაციო პლეიოფების მატჩების განრიგი.

საპლეიოფო მატჩებში საქართველოს რაგბის კავშირის სახელით მონაწილეობას მიიღებს ამ გათამაშებისათვის შექმნილი ქართული გუნდი თბილისის კავკასიელები (Tbilisi Caucasians).

თბილისის კავკასიელების ოფიციალური პრეზენტაცია „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე გუშინ გაიმართა.

ევროპული პროფესიული საკლუბო რაგბის მმართველი სტრუქტურა 2014 წლის აპრილში დაარსდა, რომელიც ორგანიზებას უწევს ორ ახალ ევროპულ საკლუბო ტურნირს. ესენია „ჩემპიონთა თასი“ (European Rugby Champions Cup, ყოფილი ჰეინეკენის თასი) და „ჩელენჯ თასი“ (European Rugby Challenge Cup).

ორივე ტურნირში 20-20 კლუბი მიიღებს მონაწილეობას.

ჩელენჯ ქაფზე მოსახვედრად რაგბი ევროპის (ყოფილი ფირა აერი) ორმა კლუბმა უნდა გაიაროს საკვალიფიკაციო-საპლეიოფო ეტაპი, რომელიც ორმატჩიანი რაუნდისაგან შედგება. საკვალიფიკაციო ეტაპის გამარჯვებული კლუბები ტურნირზე რაგბი ევროპა ერთის და რაგბი ევროპა 2-ის ქვოტას დაიკავებენ.

რაგბი ევროპა ერთის მოსაპოვებლად ერთმანეთს თბილისის კავკასიელები და იტალიური რაგბი როვიგო დელტა შეერკინებიან. წყვილში გამარჯვებული კლუბი ჩელენჯ ქაფზე 1 ჯგუფში კარდიფ ბლუზის, ლონდონ აირიშისა და გრენობლის წინააღმდეგ იბრძოლებს.

რაგბი ევროპა 2-ის ქვოტის მოსაპოვებლად კი ერთმანეთს ბუქარესტის მგლები და იტალიური კამმი რაგბი კალვიზანო შეებმებიან. წყვილში გამარჯვებული კლუბი ჩელენჯ ქაფზე მესამენ ჯგუფში სტად ფრანსეს, ნიუპორტ დრაგონსისა და ნიუქასთლ ფალკონსის წინააღმდეგ იასპარეზებს.

ბეჭან დოლიძე

◎ ფეხბურთი

ანჩელოტი: რონალდუმ შეცვლა მთხოვა

მადრიდის „რეალის“ მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ესპანეთის სუპერთასის პირველ მატჩში მადრიდის „ატლეტიკოსთან“ ფრედ (1:1) დასრულებული შეხვედრის შემდეგ პრესკონფერენცია გამართა, რომელშიც აღნიშნა, რომ „ბლანკოსის“ პორტუგალიელმა ვარსკვლავმა კრიშტიანუ რონალდუმ მუხლის არეში ტკივილი იგრძნო და შეცვლა მოითხოვა.

„კრიშტიანუმ ტკივილი იგრძნო მარცხენა მუხლის არეში და შესვენებაზე შეცვლა მთხოვა. მას გამოკვლევა ჩაუტარდება, სადაც გამოჩნდება თუ რა სჭირს პორტუგალიელს“, — განაცხადა იტალიელმა.

კარლო ანჩელოტიმ ხამეს როდრიგესზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მისი თამაშით კმაყოფილია.

„ხამესმა ყველაფერი კარგად გააკეთა. გუნდი მეორე ტაიმში უკეთესი იყო. მისი გატანილი გოლი მნიშვნელოვანია. ის უფრო თვითდაჯერებული გახდება. ვფიქრობ, რომ გუნდმა კარგად ითამაშა. ისინი აკონტროლებდნენ მთლიან თამაშს.

„ატლეტიკოს“ მცირე უპირატესობა აქვს ახლა, თუმცა, პარასკევს საპასუხო რაუნდში ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ტიტულის მოსაპოვებლად“, — დასძინა ანჩელოტიმ.

საუბრის ბოლოს ანჩელოტი ანხელ დი მარიასა და ძირითადი მეკარის თემასაც შეეხო.

„დი მარია კიდევ ერთი ჩინებული მოთამაშეა. ის „რეალის“ ფეხბურთელია და როგორც საჭიროდ ჩავთვლი, ისე გამოვიყენებ.

უკვე გადავწყვიტე, თუ ვინ იქნება ძირითადი მეკარე, მაგრამ ამის გამხელას ჯერ არ ვაპირებ“, — დაასრულა საუბარი 55 წლის სპეციალისტმა.

სუპერთასის გადამწყვეტი შეხვედრა პარასკევს შედგება „ვისენტე კალდერონზე“.

გიორგი შოთაძე

◎ ჩემპიონთა ლიგა

„არსენალმა“ უეფაში საჩივარი შეიტანა

„ბეშიქთაშსა“ და ლონდონის „არსენალს“ შორის ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო პლეი ოფის პირველი მატჩის დამთავრების შემდეგ გასახდელისკენ მიმავალ „მეთოფეთა“ მწვრთნელ არსენ ვენგერს ტრიბუნიდან ბოთლი ესროლეს. „უკვე გვირაბში შევდიოდი, როცა რაღაც საგანი მესროლეს, მგონი ბოთლი იყო. ცხადია, ეს მაშინვე განვაცხადე უეფაში,“ — თქვა ვენგერმა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე.

ბრძოლის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე კი ხშირი კამათისთვის მსაჯმა „ბეშიქთაშის“ დამრიგებელი სლავენ ბილიჩი გააძევა სამწვრთნელო სკამიდან.

„ბეშიქთაში“ — „არსენალი“ 0:0, „ზალცბურგი“ — „მალმიო“ 2:1, „ნაპოლი“ — „ბილბაო“ 1:1, „კოპენჰაგენი“ — „ლევერკუზენი“ 2:3, „სტიაუა“ — „ლუდოგორეცი“ 1:0.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ მოვლენის წინ

უეფას სუპერთასზე ბილეთები 7, 15 და 30 ევრო ეღირება

2015 წელს თბილისში გასამართი უეფას სუპერთასის ბილეთების ფასი ცნობილია.

მომავალი მატჩი, რომელშიც ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის გამარჯვებულები დაუპირისპირდებიან, 11 აგვისტოს „დინამო არენაზე“ გაიმართება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის დომენტი სიჭინავას ინფორმაციით, ბილეთები 7, 15 და 30 ევრო ეღირება.

როგორც წესი, ბილეთები უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე გაიყიდება. მათი რეალიზაცია 2015 წლის ივლისიდან დაიწყება. ქართველ გულშემატკივრებს დაახლოებით 40000 ბილეთის შეძენა შეეძლებათ. დანარჩენი მონაწილე გუნდების ქომაგებზე გადანაწილდება. ასევე, „დინამო არენის“ ტრიბუნებზე ადგილების გარკვეული ნაწილი უეფას ოფიციალური დელეგაციის წევრებს დაეთმობათ. აქვე გეტყვით, რომ „დინამო არენაზე“ 54549 მაყურებელი ეტევა.

17 სექტემბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უეფასთან საბოლოო დოკუმენტს მოაწერს ხელს სუპერთასის ჩატარების თაობაზე.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

სერენა ბიკინიში

ცხოვრება უცნაურობებით რომ არ იყოს აღსავსე, აბა ვინ წარმოიდგენდა, რომ ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენი სერენა უილიამსი „გაბედავდა“ და მისი სხეულის მსხვილ-მსხვილი ფორმების პატრონი ბიკინიში გამოეწყობოდა?!...

სერენამ ეს არათუ გააკეთა, არამედ ბიკინებში გამოწყობილმა თამამ ფოტოსესიაშიც მიიღო მონაწილეობა და მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალზე მადისამღძვრელი და სექსუალური ნაკლებად ითქმის, — მისი გაბედულება და სითამამე, რა თქმა უნდა, დასაფასებელია.

თან ამ ყველაფრის გარდა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სერენა უილიამსი ამერიკელია, ანუ იმ ქვეყნის შვილია, სადაც საზოგადოების გარკვეული ნაწილი ასეთ „გაფრენებს“ მაინცა და მაინც არ მოუწონებს.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ თითქმის ნატურიდან

მცველები

ცოლმა ზურიკოს ამ დილასაც შეუღრინა: ამხელა კაცს როგორ არ მოგბეზრდა ლოგინში კოტრიალი, ცოტა გატოკდი, თორემ ხომ ხედავ, ორსული დედაკაცივით მუცელი თავზე მოგექცა.

— გავტოკდე, თორემ მეც ათასდოლარიანი სამუშაო მელოდება, — თავის მხრივ შეუღრინა ზურიკომაც, — ვთქვათ, უთენია წამოვხტი, სად წავიდე?

— სადა და მოუსავლეთში, სულაც კუს ტბაზე ადი, მთელი პარლამენტი მაგ ტბაში ცურაობს და იქნებ შენც რაღაცნაირად მიუცურდე ამ ცხოვრებას.

რაღას იზამდა, ზურიკომ ბოტასები მოძებნა, „ადიდასი“ გადაიცვა და კუს ტბისკენ კუს ნაბიჯით გასწია, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ტბაზეც ავიდა და ცოლისგან განაწყენების მიუხედავად, კიდეც ესიამოვნა.

— ვა, ეგ ვიღაცა რა მაგრად ყვინთავს, მოცურავეა? — ჰკითხა ზურიკომ ტბის ნაპირზე ჩაცუცქულ სპორტკომპლექსის მუშაკს.

— არა, დეპუტატია.

— სად ისწავლა ასეთი ყვინთვა?

— სადა და პარლამენტში, დილით აქ ყვინთავს, საღამოთი — ქუთაისში.

— პოლიტიკაში? — დაინტერესდა ზურიკო.

— პოლიტიკაში ხომ ყვინთავს და ყვინთავს.

— თუ იცი, რომელ პარტიაშია?

— რას გაიგებ, ყველა პარტია გამოიცვალა, ბოლოს ნაციონალებში იყო, ახლა მგონი „ოცნებაში“ გადავიდა.

— მოდი, მეც ვიბანავებ, — თქვა ზურიკომ და ბოტასების გახდას შეუდგა.

— არ გამოვა, — გააფრთხილა ჩაცუცქულმა მუშაკმა.

— რატომ არ გამოვა?

— ვიდრე დეპუტატი ცურვას არ მორჩება, წყალში ვერ შეხვალ.

— რატომ კაცო, ტბაა, ტაშტი ხომ არა, რომ მორიგეობით ვიბანაოთ?

— ეგ დეპუტატის მცველებს უნდა ჰკითხო, ნაპირზე რომ ელოდებიან

— მაგათ ვინ ჰკითხავთ?

— ვერ გეტყვი, მაგრამ დაუკითხავად თუ შეხვალ, გესვრიან.

— რისი ეშინიათ?

— რა ვიცი, დეპუტატები ხშირად ერთმანეთს დედ-მამის სულს უტრიალებენ და... ხომ შეიძლება ვიღაც განაწყენებულმა „ლიმონკა“ ესროლოს?

— ეგენი ხშირად პრეზიდენტსაც აგინებენ.

— ჰო, გუშინაც მოვისმინე, მაგრამ პირადად ამან პრეზიდენტის მხარე დაიჭირა.

— მაშინ აღარ უნდა ეშინოდეს.

— პირიქით, ახლა პრეზიდენტის ქება ყველაზე სარისკო საქმეა.

— კარგი, ორძელზე მაინც ვივარჯიშებ.

— ორძელზე, ხომ ხედავ, ბიზნესმენი ვარჯიშობს.

— გვერდით რომ ბიჭები დგანან, რიგს უცდიან?

— არა, ბიზნესმენის მცველები არიან.

— ვისგან იცავენ?

— გამტაცებლებისგან.

— კარგი, თუ ძმა ხარ. ახლა სადღა გაიტაცებენ, პანკისი რა ხანია კრიმინალებისგან გაწმენდილია.

— ეჰ, რას გაიგებ, ახლა თურმე გატაცებული ბიზნესმენები მოსკოვზე გავლით პირდაპირ ერაყში გადაჰყავთ.

— მაშინ ვირბენ მაინც, — თქვა იმედგაცრუებულმა ზურიკომ.

— ირბენ, ოღონდ აი იმ ჯიგიტს მოერიდე.

— ეგ ვიღაა.

— ვაკის მაჟორიტარია.

— უჰ, როგორ გასუქებულა, სწორედ მაგასთან მაქვს საქმე, რამდენი წელიწადია დავდევ და ვერ დავიჭირე. ესა თქვა და ძუნძულით გამოეკიდა მაჟორიტარს. ის იყო მიუახლოვდა, რომ ბუჩქებიდან სამი შეიარაღებული გადმოხტა.

— სდექ! — იყვირეს მათ.

— რა მოხდა? — იკითხა შეცბუნებულმა ზურიკომ.

— მეტად აღარ მიუახლოვდე, თორემ გესვრით.

— რა სროლა აგიტყდათ, ხალხო, ჩემი დეპუტატია, რაღაც მინდა ვუთხრა...

— შენი კი არა, ხალხის დეპუტატია, — გაუსწორეს მათ.

— დამეხმარე, შენთან სალაპარაკო მაქვს, — შეეხვეწა ზურიკო მაჟორიტარს.

— რა ვქნა, სული მიკაწკაწებს ამომრჩევლებთან შესახვედრად, მაგრამ ხომ ხედავ დაცვა ნებას არ მაძლევს.

— მაშინ პარლამენტში მოვალ.

— იქ სულ არ მცალია, დღედაღამ კანონმთხზველობაში ვართ.

— აბა როდის შეგხვდე.

— აი, მალე წინასაარჩევნო კამპანია დაიწყება და მაშინ რამდენიც გინდა, იმდენი ვილაპარაკოთ.

დაღვრემილი დაბრუნდა ზურიკო სახლში. ცუდად არის საქმე, აუწყა მან მეუღლეს, თუ დაცვა არ ავიყვანე, კუს ტბაზე შეიძლება ზოგი ჩვენი დეპუტატის მაგიერ მე გამაგორონ...

ოტია ჩართოლანი

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ კეთილშობილი ადამიანის, მაღალი კლასის პროფესიონალის და დიდი მშენებლის, ბატონ

ზაურ ლაბარტყავას

გარდაცვალების გამო.

მშვიდობით ჩემო ზაურ — დიდი მადლობა შენ კაცობისა და კარგი ქართველობისათვის!

ვლადიმერ ჯაფარიძე ოჯახით.

◎ ინფორმაცია

ავტოავარიას ჟურნალისტი ემსხვერპლა

კახეთში მომხდარი ავარიის შედეგად, ჟურნალისტი ეკა კუპატაძე გარდაიცვალა. შემთხვევა წნორში, ლაგოდეხის ტრასაზე მოხდა.

„სუძუკის“ მარკის ავტომობილი გზის საკალი ნაწილიდან გადავიდა და რამდენჯერმე ამოტრიალდა. ეკა კუპატაძე შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, დედა და ძმა კი, სხეულის დაზიანებებით წნორის „არქიმედეს“ კლინიკაში მოათავსეს.

ექიმების განცხადებით, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ეკა კუპატაძე სხვადასხვა დროს რადიო „ჰერეთში“ ლაგოდეხის ტელევიზიაში და „მეცხრე არხზე“ მუშაობდა.

◎ ალიანჩალიანი

ტერაქტი სოხუმში

სოხუმში, აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ბატალ ტაბაღუას სახლის ეზოში აფეთქება მოხდა. ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს.

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, რაულ ლოლუას განცხადებით, აფეთქების შედეგად არავინ დაშავებულა. ასაფეთქებელი მოწყობილობის ტიპი ჯერ უცნობია.

24 აგვისტოს აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში „ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები“ გაიმართება. არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ოთხი კანდიდატი — რაულ ხაჯიმბა, ასლან ბჟანია, ლეონიდ ძიაპშიბა და მერაბ ქიშმარია.

მაშველებმა პოლონელი ტურისტი გადაარჩინეს

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს თანამშრომლებმა, მესტიის მუნიციპალიტეტში ჩატარებული სამაშველო ღონისძიების შედეგად დაშავებული მთამსვლელი პავან პიენკოხსკი მწვერვალ უშბიდან ჩამოიყვანეს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, პოლონელი ტურისტი ქვათაცვენაში მოყვა, რის გამოც ფეხის ტრავმა მიიღო და მარშრუტის გაგრძელება ვეღარ შეძლო.

— პოლონელ მთამსვლელთა ნკაციანი ჯგუფი უშბაზე ერთ-ერთ მარშრუტის გავლის დროს ქვათაცვენაში მოყვა. ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა ფეხის ტრავმა მიიღო და მარშრუტის გაგრძელება ვეღარ შეძლო. შსს-ს სამაშველო ჯგუფი შეტყობინების მიღებისთანავე სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენით შემთხვევის ადგილზე ჩაფრინდა და ხუთივე პოლონელი მთამსვლელი მესტიაში ჩაიყვანა. მაშველებმა პავან პიენკოხსკი მესტიის საავადმყოფოში გადაიყვანეს, — აცხადებენ შსს-ში.

მათივე ინფორმაციით, ამ დროისათვის დაშავებული მთამსვლელის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

ინტერპრესი

◎ ბუნების იდუმალება

საიდუმლო განათება შეიძლება ვიხილოთ ზღვის სივრცეებზე და მთებშიც, ტყეებშიც. ასეთი ნაპერწკლების გამოჩენა ხშირად იძენს ხმებსა და ლეგენდებს, მაგრამ, როგორც წესი, ამ მოვლენებს აქვთ მეცნიერული ახსნა.

წმინდა ელმის ცეცხლი

ეს მოვლენა ძირითადად ნაცნობია მეზღვაურებისათვის. შტორმის დროს ხომალდების ანძებზე ჩნდება მანათობელი ბურთები, რომლებიც შეიძლება დაევშნენ გემბანზე ანდა იყვნენ დაკიდებული გემსართავებზე.

მეზღვაურებს შორის ცეცხლს კარგ ნიშნად მიიჩნევენ. ამბობენ, რომ ეს არის სიგნალი შტორმის მალე დამთავრებისა, რასაც გვაწვდის წმიდა ელმი — მეზღვაურთა მფარველი. წმინდანი დაიღუპა ქარიშხლის დროს, მაგრამ სიკვდილის წინ ის დაპირდა თავის ამხანაგებს, რომ დაეხმარებოდა სტიქიასთან ბრძოლაში, მიუთითებს გზას ცეცხლით, და ცეცხლოვანი გზის ჩვენებით მიიყვანს გემს ტალღების გავლით წყნარ ნავსადგურებში.

წმინდა ელმის ცეცხლი ხშირად აღწერეს მოგზაურებმა. უცნაური განათების გამოჩენის შესახებ იხსენებდა თავად ქრისტოფორ კოლუმბიც. ნაპერწკლები ჩნდებოდა მისი ხომალდების ანძებზე მანამდე ცოტა ხნით ადრე, სანამ დიდი მეზღვაური, როგორც იქნა, დაინახავდა მიწას. წმინდა ელმის ცეცხლის გამოჩენის კიდევ ერთი მოწმე იყო ჩარლზ დარვინი. საიდუმლო შუქს ის თვალყურს ადევნებდა ხომალდ „ბიგლზე“ დედამიწის გარშემო მოგზაურობის დროს.

მაშ, რა არის ეს ნათება? სინამდვილეში „ცისფერი ალის“ გამოჩენაში არაფერი საიდუმლო არაა. ესაა მხოლოდ ელექტრონული მუხტი ატმოსფეროში, რომელიც ჭექა-ქუხილის დროს ჩნდება. იმ წვეტიანი ზედაპირების ობიექტების გარშემო, რომლებიც განთავსებული არიან დიდ სიმაღლეზე, ელექტრონული ველის პოტენციალი განსაკუთრებით დიდია, რაც ქმნის ნათებას.

წმინდა ელის ცეცხლი შეიძლება გაჩნდეს არა მხოლოდ გემების ანძებზე, იგი ხშირად ჩნდება მთების წვერებზე, ელექტროგადამცემ ხაზებზე, მაღალი ხეების კენწეროებზე, ეკლესიების შპილებზე. გამონათება შეიძლება წარმოიქმნას თვითმფრინავის შემონავლებზე, როდესაც ლაინერი მოხვდება ვულკანური ფერფლის ღრუბელში. ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა 1982 წელს. ინციდენტი შეემთხვა ბრიტანულ ლაინერს, რომელმაც თავზე გადაუფრინა კუნძულ იავას და ვულკანური ფერფლის სვეტში აღმოჩნდა. არც ეკიპაჟს,არც მგზავრებს არანაირი ეჭვი ჰქონიათ, რომ ბორტზე არ დაიწყო სერიოზული პრობლემები. ჯერ მფრინავებმა შენიშნეს ცეცხლი წინა მინაზე. შემდეგ განათება გაჩნდა თვითმფრინავის ფრთებზე, ამ დროს ხელსაწყოები არ უჩვენებდნენ ჭექა-ქუხილის ფრონტს. მალე განათება გარს შემოეხვია თვითმფრინავის ძრავას. მგზავრებს შეეძლოთ თვალყური ედევნებინათ ცეცხლის მკვეთრი აფეთქებისთვის, რომელიც ტურბინებიდან გამოდიოდა.

რამდენიმე საათის შემდეგ თვითმფრინავს რიგრიგობით გამოერთო ოთხივე ძრავა. ხომალდის მეთაურმა მიმართა მგზავრებს განცხადებით, რომელსაც შემდეგ ისტორიაში ყველაზე დიდი ნაკლი ეწოდა. „ქალბატონებო და ბატონები! — თქვა ხომალდის მეთაურმა. — ბორტზე წარმოიშვა მცირე პრობლემა. გაჩერდა ოთხივე ძრავა. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ისინი ავამოქმედოთ“...

ძრავების ამოქმედება მაინც ვერ შეძლეს — ეკიპაჟმა მხოლოდ დროებით აამოქმედა მწყობრიდან გამოსული მარტო ორი ტურბინი.

უცნაური შუქი

რა ანათებს სიბნელეში

ლაინერი ახორციელებდა პლანირებას, ცდილობდა მიეღწია ჯაკარტის აეროპორტამდე, სადაც შეიძლებოდა განეხორციელებინა ავარიული დაჯდომა. მანამდე ცოტა ხნით ადრე, სანამ თვითმფრინავი მიუახლოვდებოდა პორტს, ქარის მინაზე კვლავ გამოჩნდა წმინდა ელმის ცეცხლი. პილოტებმა ეს კეთილ ნიშნად მიიჩნიეს. თვითმფრინავი მშვიდად დაჯდა, მიუხედავად იმისა, რომ წინა მინამ თითქმის მთლიანად დაკარგა გამჭვირვალობა, საჭის მართვა შეუძლებელი გახდა, ხელსაწყოების უმრავლესობა კი აღარ მუშაობდა.

ბროკენის ხედვა

გერმანიაში ჰარცის მთის მასივი დიდი ხანია, იზიდავს მწვავე შეგრძნებათა მოყვარულებს. ბროკენის მთის მიდამოებში დრო და დრო ცაში ჩნდება მოჩვენებითი გოლიათები — უზარმაზარი მოძრავი აჩრდილები, რომლებსაც გარს არტყია მანათოებლი რგოლები.

ამბობდნენ, რომ ბროკენი — ესაა ადგილი, სადაც ქაჯები იკრიბებიან თავიანთ შაბაშებზე. დადიოდა ხმები, რომ მთის მიდამოებში ცხოვრობენ უზარმაზარი სიმაღლის ჯადოქრები, კუდიანები, რომლებსაც შეუძლიათ გაიშალონ, გალღვნენ სივრცეში.

ბროკენის აჩრდილების საიდუმლო გახსნეს მხოლოდ XVIII საუკუნეში. იგი ამოხსნა ფიზიკოსმა ჰაუემ. მან მოახერხა შეხვედროდა ბროკენელ აჩრდილს. განათების მოჩვენების გამოჩენის მომენტში ჰაუე არ დაიბნა და შლაპა მოიხადა, რომ მისალმებოდა მომსვლელს. აჩრდილმაც ასეთივე მოძრაობა გააკეთა. ჰაუემ ხელი აიქნია — აჩრდილმა ესეც გაიმეორა. აქ კი მეცნიერი მიხვდა, რომ ფიგურა მანათობელ რგოლში — ეს სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი აჩრდილი!

ახსნა საკმაოდ მარტივი აღმოჩნდა. ბროკენის მთის მიდამოებში ხშირად მოდის ნისლი, ღრუბელი ნაწილობრივ ჩამოდის მწვერვალის ქვემოთ. შედეგად, როდესაც მზე ადამიანის ზურგსუკნიდან ანათებს, ხდება მისი ჩრდილის პროეცირება ნისლში ან ხვდება ღრუბელზე. და აქ ჩნდება ოპტიკური მოტყუება. როდესაც ჩრდილი მიწაზე წევს, მეთვალყურეს სავსებით შეუძლია შეაფასოს მისი ზომა. ხოლო, როდესაც ჩრდილი გამჭირვალე ზედაპირზეა, იგი მოცულობითი ხდება. თანაც, შეაფასო ზუსტი მანძილი, მანამდე შეუძლებელია. ამ შემთხვევაში ჩრდილი განუზომლად დიდი გეჩვენება. ამას გარდა, ჩრდილი, ასახული მიწაზე, მთლიანად იმეორებს „მეპატრონის“ მოძრაობას, და როდესაც იგი უძრავია, ჩრდილიც სტატიკური რჩება. სხვა საქმეა ჩრდილი, რომელიც მოსროლილია ნისლში ან ღრუბლებში. ასეთ სიმაღლეზე ჩრდილი შეიძლება ირხეოდეს ჰაერის მოძრაობის გამო, და იქმნება შეგრძნება, რომ სილუეტი მოძრაობს თავისით. რაც შეეხება შუქის რგოლებს, ჩრდილებს რომ ახვევიან გარს, ეს მხოლოდ მზის შარავანდედია, რომლის შუქიც აისახება წყლის წვეთებიდან ღრუბლებში ან ნისლში. ამრიგად, იქმნება ცისარტყელის მსგავსი ეფექტი.

მიცვალებულის სანთელი

ასე უწოდებენ მოხეტიალე ნაპერწკლებს, რომლებიც ჩნდება სასაფლაოებისა და ჭაობების რაიონში. ჩვეულებრივად შუქი ჩნდება ადამიანის მკერდის დონეზე და გეჩვენება, თითქოს ვიღაც მოძრაობს სიბნელეში, რომელიც თავის გზას სანთლით ინათებს. ასეთ ცეცხლთან შეხვედრა არასოდეს გვიქადდა სიკეთეს — მიაჩნდათ, რომ მიცვალებულთა აჩრდილები შუქით იტყუებენ ცოცხლებს ტყის სიღრმეში ან ჭაობებში.

აჩრდილებად ხშირად აღიქვამენ ფოსფოროვან წყალბადს, რომელიც ლპობის დროს წარმოიქმნება — შემთხვევითი როდია, რომ აჩრდილები ძირითადად ბინადრობენ სასაფლაოებისა და ჭაობების მიდამოებში, სადაც მიწის ქვეშ მიმდინარეობს ორგანული ნარჩენების აქტიური ხრწნა. მანათობელი გაზი ადის დედამიწიდან ორი მეტრამდე სიმაღლეზე და კარგად მოსჩანს სიბნელეში. ქარის ოდნავი რხევის დროს იგი იწყებს მოძრაობას. ამრიგად, ადამიანს შეიძლება მოეჩვენოს, რომ აჩრდილი მას ჭაობიან ადგილებში იტყუებს.

◎ რას არ გაიგებ...

საცხოვრებლად საუკეთესო ქალაქები

ავსტრალიის მელბურნი უკვე მეოთხედ, საცხოვრებლად საუკეთესო ქალაქების რეიტინგში ლიდერობს.

ჟურნალ „ეკონომისტის“ მიხედვით, ექსპერტებმა და მკვლევარებმა 140 ქალაქი შეისწავლეს და ისინი საცხოვრებელი პირობების მიხედვით დაალაგეს. კვლევისას ძირითადი ყურადღება ეთმობოდა ისეთ გარემოებებს, როგორებიცაა ჯანდაცვაზე, ინფრასტრუქტურაზე, განათლებასა და კულტურაზე ხელმისაწვდომობა.

რეიტინგის პირველ ათეულში ასევე მოხვდნენ **ადელაიდა, ვენა, სიდნეი, პერტი, ვანკუვერი, ტორონტო, კალგარი, ჰელსინკი და აუკლენდი.**

რეიტინგის ბოლო პოზიციაზე სირიის დედაქალაქი დამასკო აღმოჩნდა, სადაც ბოლო სამი წლის განმავლობაში გრძელდება შეიარაღებული კონფლიქტი ხელისუფლებასა და ამბოხებულებს შორის. ამბოხებულები პრეზიდენტ ბაშარ ასადის გადადგომას ითხოვენ.

* * *

ძსოვილი, რომელიც სამხედროებთან ერთად მეწარმეებსაც დაინტერესებს

მეცნიერებმა შექმნეს კამუფლიაჟის ქსოვილი, რომელიც ფერს იცვლის.

ქსოვილი ფერს გარემოში არსებული ფერთა გამის შესაფერისად იცვლის. მსუბუქი ქსოვილი ფერს სწრაფად იცვლის და მას რვაფეხას ადარებენ. ჯერჯერობით ქსოვილს მხოლოდ თეთრი და შავი შეფერილობის მიღება შეუძლია, მაგრამ ილინოისის უნივერსიტეტის მეცნიერები ფიქრობენ, რომ სამომავლოდ შეძლებენ „ჯადოსნურ“ ქსოვილს სხვა ფერებიც შემატონ.

მკვლევარები ფიქრობენ, რომ ასეთი თვისებების მქონე ქსოვილით მომავალში არა მხოლოდ სამხედრო, არამედ სხვა სამოსის მწარმოებლები და მოდელიორები დაინტერესდებიან.

საქართველო ბრაზილიული მედიცინის სამშობლოა

ისარგებლეთ საუკუნეების მანძილზე გამოცდილი ბუნებრივი წამლებით

„ფერდის“ და „სალხინოს“ კომპლექსური გამოყენება



კლინიკური კვლევების საფუძველზე რეკომენდებულია „ფერდის“ და „სალხინოს“ ერთობლივი გამოყენება ქიმიოთერაპიის გვერდითი მოვლენების აღმოსაფხვრელად. გააჩნიათ ძლიერი ანტიოქსიდანტური და იმუნომოდულატორული თვისებები. გამოიყენება ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმების დროს, ასევე ენდომეტრიოზის, ჰეპატიტის, ნეფრიტის და კუჭ-ნაწლავის დაავადებების მკურნალობაში.

პირველი 6-7 დღე ინიშნება „ფერდის“ და „სალხინოს“ კაფსულა 3-ჯერ დღეში ერთდროულად, თითოეული კაფსულის მიღებისას აუცილებელია 200 მლ-მდე წლის მიყოლება. მომდევნო პერიოდში – 2 კაფსულა „ფერდი“ და 1 კაფსულა „სალხინო“ 3-ჯერ დღეში ერთდროულად, დამატებით 2 კაფსულა „ფერდი“ ძილის წინ, მიღების დროს ყველა შემთხვევაში აუცილებელია წყლის მიყოლება. პაციენტი შვებას გრძნობს 10-15 დღის შემდეგ, მკურნალობა გრძელდება 5-6 თვე ან საბოლოო გამოჯანმრთელებამდე.

„ფერდი“ და „სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

- გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
- გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

◎ ქორწილია, ქორწილი!

ვისია, ვისია... ვაჟი ლამაზი?

აქა ამბავი ვაშაძიანთ „პატარძლისა“



მამალი ნაცის, ვაშაძის ძმა გაბედნიერდაო, კარგა ხანია, ამაზე საუბრობენ თბილისში. ეს ამბავი, რომ შევიტყვე, არ მოგატყუებთ და, თმები სულაც არ დამდგომია ყალყზე, რადგან ნაცებისგან ყველაფერია მოსალოდნელი. უცებ ერთი ანეკდოტი გამახსენდა და ცოტა „დავმშვიდდი“ კიდეც.

სერჟიკა კარგა ხნის უნახავ ძმას ურეკავს ამერიკაში.

— ხაჩიკ, როგორა, ხარ, რასა შვრება შენი ოჯახი?

— ხოშიანად ვართ, სერჟიკ, უფროსმა ბიჭმა ჩვენი კანიაკის ბიზნესი წამოიწყო, მთელი კალიფორნია ამასა სვამს, შუათანამ ტუფლებსა კერამს, ყველას ეგ აცვია.

— პატარა რასა შვრება, აშოტა, ენაცვალოს ბიძა?

— აშოტა გათხოვდა. სერჟიკ-ჯან, გათხოვდა.

კარგა ხნის პაუზის შემდეგ ენაჩავარდნილი სერჟიკა თავს იიმედებს.

— ხაჩიკ, სიძე ესტესტვენა სომეხია არა?

... ასეა, ძმებო, თავი დავიიმედოთ რომ კარგი სიძე შეგვხვდეს დედალი ვაშაძის ქმრის სახით, თანაც სერჟიკასი არ იყოს – ქართველი. აბა ამ ანგელოზივით ბიჭს უცხოელს ხომ არ ვაჯირყვნინებთ. სიამტკბილობით ეცხოვროთ, კარგი ნაცური ქორწილი. აყვანილ შვილთა სიმრავლე ვუსურვოთ...

ეს ჰომოფობიაში რომ არ ჩამითვალოთ იმიტომ ვამბობ, თორემ მოტ...იათ პატრონი!

მამუკა ვაშა(კი)ძე

◎ ინფორმაცია

ხანძარი გურჯაანში

სოფელ გურჯაანში ხანძრის შედეგად მურაკაშვილების სამი საცხოვრებელი სახლი დაიწვა. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. დამწვარია საყოფაცხოვრებო ნივთები და ტექნიკა. ადგილზე მობილიზებული იყო კახეთის რეგიონის სამაშველო სამსახურის და რამდენიმე რაიონის სახანძრო და სასწრაფო დახმარების ბრიგადები.

ხანძარი ლიკვიდირებულია. ცეცხლის ჩასაქრობად მეხანძრეებს ერთ საათზე მეტი დასჭირდათ. ხანძრის გამომწვევი მიზეზები ჯერ უცნობია, მიმდინარეობს გამოძიება. შემთხვევის ადგილზე გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელიც იმყოფებოდა. გია გერგიძის განცხადებით გამგეობა სამივე ოჯახს ზარალის დათვლის შემდეგ შეძლებისდაგვარად დაეხმარება.

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 23 აგვისტოს

◎ ცინცხალი ანეკდოტები

პეტკა მაშინ მიხვდა, რომ ცოლი ღალატობდა, როდესაც კარადაში ტაბურეტი და ამოხსნილი კროსვორდების დასტა აღმოაჩინა.

* * *

ვანკა სახლში ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა. კარი გამოაღო და საძინებლიდან თავისი შეფისა და ცოლის ხმები მოესმა. ვანკა ფეხაკრეფით წავიდა კარისკენ:

— არ გაიგოს, თორემ დამიწყებს, რატომ ხარ სახლში სამუშაო საათებშიო!

* * *

გაჩერებაზე ტროლეიბუსი ჩერდება, კარები იღება. ტროლეიბუსში ბებო ადის, მას მამაკაციც აყვა.

— მაპატიეთ, ამ ტროლეიბუსით ცენტრალურ ბაზრამდე მივალ? — ეკითხება იგი ბებოს.

— ვერა.

იმედგაცრუებული მამაკაცი ტროლეიბუსიდან ჩავიდა და ტრანსპორტიც დაიძრა.

— აი, მე კი მივალ! — მიაძახა მამაკაცს ბებომ.

ყველაზე საიმედ მაღვიძარა — ეს არის ტელეფონის ზარი სამსახურიდან — „სადა ხარ?“

* * *

— სად არის პეტკა?

— უფროსს დაეთხოვა, ოჯახური პრობლემები მაქვსო...

— არ მეგონა, თუ „პახმელიას“ ასე ერქვა.

* * *

ზის ტიპი მდინარის პირას. ორი ანკესი უჭირავს. ერთზე ჭიაყელა წამოაგო და მდინარეში გადააგდო, მეორე კი ზურგს უკან მოისროლა. მალე გზაზე კაცმა ჩაიარა.

— ანკესი რომ მდინარეში მოისროლე, ეს გასაგებია, მაგრამ ზურგს უკან რად გადააგდე?

— არ გეტყვი.

— მითხარი, რა! — ეხვეწება კაცი.

— ასი გრამი დამისხი და გეტყვი.

დაუსხა. დალია.

— აი, ნახე იმ ანკესს, მდინარეში რომ გადავაგდე, ჯერ არც ერთი თევზი არ წამოგებია. ზურგს უკან გადაგდებულზე კი შენ უკვე მეხუთე წამოეგე.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერმოვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
299-62-77;
599 36 00 35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 599 568186
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24